ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპორტიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 9 ნოემბერი 2005 №258 (2581) ფასი 50 თეთრი

გუშინ ნაკრები ცამეტკაცა იყო

გადღეს კიევლიანის ფოტო

ა. ლოგიკა?

პირველლიგელმა ჩიხურამ დინამოს ნული და საფიქრალი დაუტოვა

დინამო	0:0 ჩიხურა
სპარტაკი	0:4 ზესტაფონი
გთოვმი	0:2 ვოლნეთი
ფიტ ჯორჯია	1:0 ტორპედო
ბორჯომი	2:0 სოხუმი
სიღნაღი	2:0 ამერი
ლოკომოტივი	1:0 თბილისი
ამერი	4:1 ბაბრა

დავით სევასტოპულოს „ამერმა“ გაგრელები დიდი ანგარიშით დაამარცხა

გადღეს კიევლიანის ფოტო



აშვეთია დინამოში?

იური სიომინმა ქართველიც მოიკითხა

2

კოკაიამ განუგრავა ბორდოში არ გაუშვა

3

ალბერტ კუზილოვი: ჩემს ნაკრებში გამოსვლა მინდა

8

გაიოზ დარსაძემ ნაკრები გუშინ შეკრიბა

ცამეტკაცა ვარჯიში

დღეს ნაკრები შემსრულდება და დაიხურება

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა საბულგარეთ-საიორდანიო ამხანაგური მატჩებისთვის მზადება გუშინ დაიწყო. წინასწარი ინფორმაციით, გაიოზ დარსაძეს ნაკრების ბაზაზე, „ბასას“ მოედანზე უნდა ევარჯიშებინა გუნდი, თუმცა საბოლოოდ თბილისის „დინამოს“ საწვრთნელი ბაზა შეირჩა. ეს დილით, 16 საათზე კი ნაკრებმა თენგიზ სულაქველიძის აკადემიის მინდორზე გაახურა ვარჯიში.

დარსაძის გუნდი სრულად ჯერ არ შეკრებილა, გუშინ კი ამ ცამეტმა ფეხბურთელმა ივარჯიშა: *გიორგი განუგრავა, ჯაბა კანკავა, ილია კანდელაკი, ლევან კობიაშვილი, კახა კალაძე, დავით მუჯირი, რატი წინამძღვრიშვილი, გიორგი დემეტრაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, გოგიტა გოგუა, ოთარ მარცვალაძე, მიხეილ აშვეთია, ზვიად სტურუა.*

დანარჩენი მოთამაშეები დღეს უნდა ჩამოვიდნენ. ისიც ვთქვათ, რომ სადღეისო ვარჯიშები დახურული იქნება, თუმცა კონკრეტულად სად გაიმართება წვრთნა, ჯერჯერობით უცნობია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეს-ატაშე სანდრო ცნობილაძის თქმით, ეს ისევ ამინდზეა დამოკიდებული.

ილია ნანოგაჯვილი

აშვეთია დინამოში?

იური სიომინმა ქართველიც მოიჭიმა



მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ „როსტოვში“ განათხოვრებული ქართველი თავდამსხმელი მიხეილ აშვეთია შესაძლოა მოსკოვის „დინამოში“ გადავიდეს. ეს ინფორმაცია არაოფიციალურია, თუმცა „დინამო“ რომ ჩვენებურით დაინტერესებულა, ლოგიკური ჩანს და აი, რატომ: ამ კლუბის ხელმძღვანელობა აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებს „ლოკომოტივისა“ და რუსეთის ნაკრების ყოფილ მწვრთნელ იური სიომინთან.

ვერ გეტყვით, როგორ დასრულდება ეს საქმე, თუმცა რუსი ჟურნალისტების ცნობით, სიომინი უკვე შეეხმიანა რამდენიმე ნაცნობ ფეხბურთელს, რომელთა შორის აშვეთიაც იგულისხმება.

შეგახსენებთ, რომ მიხოს ნოემბრის ბოლოს უმთავრდება „როსტოვში“ განათხოვრების ვადა და მერე „ლოკომოტივში“ დაბრუნდება. როგორც შევიტყვეთ, რკინიგზელებს „როსტოვის“ გარდა ერთმა გერმანულმა და ერთმა ფრანგულმა კლუბმაც მიმართა ჩვენებურის თაობაზე.

ახლა კი ალბათ „დინამოც“ დაფაცურდება...

ლუკა თალაკვაძე

კოკაიამ განუგრავა ბორდოში არ გაუშვა

გიორგი განუგრავას (მარცხნივ) ზესტაფონელები ვერ შეელივნენ

გია გურული, ვინც ალენ ჟირესის ასისტენტი იყო საქართველოს ეროვნულ ნაკრებში, ახლა საფრანგეთშია და სამწვრთნელო საქმის შესწავლას ეშურება. ახლანდელი დიპლომით გურულს მხოლოდ მოყვარულ გუნდთა გაწვრთნა შეუძლია, მაგრამ გაის თებერვლიდან პროფლიცენზიისთვის სწავლას შეუდგება.

„საფრანგეთში პროფლიცენზიის აღება რთულია, რადგან ამას სამი წელი სჭირდება. ყოველ წელიწადს სამი ექვსკვირიანი შეკრება უნდა გაიარო და მხოლოდ ასეთი სწავლა-განათლების შემდეგ იძლევიან პროფლიცენზიას. ალბათ ამიტომაცაა, რომ ფრანგი მწვრთნელები განსაკუთრებულად ფასობენ მსოფლიოში“ — გვითხრა გურულმა და მასთან კულუარული ინფორმაციაც გადავამოწმეთ.

მართალია, რომ „ბორდო“ საქართველოს ნაკრებისა და „ზესტაფონის“ 17 წლის გიორგი განუგრავათი დაინტერესდა?

— ალენ ჟირესი ბორდოელია და როცა „ბორდომ“ ჰკითხა, საქართველოში ნიჭიერი ჭაბუკები თუ გეგულებაო, ჟირესმა რეკომენდაცია განუგრავას და გიორგი ხიდეშელს გაუწია. „ბორდომ“ ოფიციალური ნებართვა მომცა, რათა განუგრავას თაობაზე მეწარმოებინა მოლაპარაკება „ზესტაფონთან“. ბორდოელებს განუგრავა სარეზერვო გუნდისთვის სურდათ, საიდანაც პირველ გუნდში მოხვედრა ძალიან რეალურია. „ბორდოს“ ინტერესის შესახებ „ზესტაფონის“ პრეზიდენტ ილია კოკაიას ვაცნობე, მაგრამ მას მითხრა, ამ ეტაპზე განუგრავას გაშვებას არ ვაპირებ, „ზესტაფონის“ მომავალზე ვზრუნავთ და განუგრავაც ჯერ უნდა დაღვინდესო — გვითხრა გუშინ გურულმა.

დავით თავართქილაძე

თქვენი ინტერვიუ

ნოდარ ახალკაცთან

რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი იქნება.

კითხვები დღესაც მოგვაწოდეთ და პრეზიდენტთან თქვენს ინტერვიუს არაუგვიანეს 11 ნოემბრამდე გამოვაქვეყნებთ. ერთი სიტყვით, იაქტიურეთ.

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

შოტლანდია
ლიგის თასი
მეოთხედფინალი
დანფერმლაინი 3:0 ჰიბერნიანი
ლივინგსტონი 2:1 დ.დ. (2:1) ინვერნესი
მოზერუელი 1:0 აბერდინი

ირლანდია
პრემიერლიგა. XXXI ტური
დროჰედა 3:2 გოჰემიანსი

ინგლისი
კონფერენსლიგა. XVI ტური
იორკი : ბარტონი გადაიდო

პოლონეთი
თასის მერვედფინალი
პირველი მატჩები
იაგელონია 1:3 პოლონია
პლოცკი 3:0 პოდბესკიდზე
ზაგლებე 1:1 ვისლა

სლოვაკეთი
პირველი ლიგა
XVII ტური
ინტერი 0:4 ჟილინა
ნიტრა 0:0 დუბნიცა
ტრნავა 4:0 პუხოვი

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

დავით პიფფიანის თასი

მერვედფინალი. პირველი მატჩები

გაგრელებმა ბურთი კარიდან ოთხჯერ გამოიტანეს

გაგრის კეთილდღეობის ფოტო

ამერმა გაგრას მუხრანი გაუცრუა

კობა ინასარიძე

თბილისის „ამერმა“ გუშინ თასის მეოთხედფინალისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა და 22 ნოემბერს, მუხრანულ საპასუხო მატჩში, რა უნდა მოხდეს, რომ გიორგი ჩიხრაძის შეგირდებმა სამბურთიანი უპირატესობა გაფლანგონ?!

...პირველლიგელ „გაგრასთან“ თბილისელები რომ უსიტყვო ფავორიტებად ითვლებოდნენ, ეს მერვედფინალის კენჭისყრისთანავე ცხადი გახდა, მაგრამ გუშინდელი შეხვედრა „ამერმა“ არაფავორიტულად კი დაიწყო და, ცოტა არ იყოს, ქომაგიც აანერვიულა.

თამაშის სადავეები მასპინძლებს არბიტრის პირველიდან ბოლო ჩასტვენამდე ხელიდან არ გაუშვიათ, თუმცა პირველი გოლი და პირველი ნაღდი საგოლე მომენტიც სტუმრებისა იყო. „ამერი“ შეტევაში რომ გაერთო, „გაგრამ“ იქით შეუტია და მე-19 წუთზე გატანაც შეძლო. ამერელთა საჯარიმოს მისადგომებთან ჯოხაძემ დაცვის ხაზს შუა გამოზომილი პასი გაუკეთა ავალიანს, ვინც ბურთის გასწორებაც მოასწრო და კარის გასწვრივ დარტყმაც, შორეულ ძელთან კი ბურთს ფეხი მეტრეველმა შეაგება — 0:1.

ორიოდ წუთში იმავ მეტრეველმა თავურიც დაჰკრა, მაგრამ ბურთი მიზანს სახიფათოდ ასცდა. ეს იყო და, მერე მასპინძლებმა „გაგრა“ კარს აღარ გააკარეს, ანგარიშიც მალევე გაათანაბრეს — სულიკო დავითაშვილის პასით დავით სევასტოპულომ იხეირა, მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ძლიერად დაარტყა და გეგეშიძე უშანსოდ დატოვა. გაიტანა „ამერმა“ და ყველა ეჭვი, ემანდ თბილისელებმა, მეთექვსმეტედფინალის პირველი მატჩივით, შინ ახლაც არ წააგონო, მაშინვე გაქრა. გეხსომებათ, მაშინ „ამერმა“ გლდანში „მეშაქრესთან“ 1:2 წააგო, აგარაში კი 4:1 მოიგო.

გათანაბრების შემდეგ „ამერის“ უპირატესობა იმდენად დიდი იყო, ქომაგობა ყოველი შეტევისას გოლს ელოდა, მაგრამ მასპინძლებმა ეს საქმე 15 წუთით გააჭიანურეს და შემდეგ კონტრშეტევისას გაიტანეს — საკუთარი საჯარიმოდან ალეკო კოშკაძის მოგერიებულ ბურთს სულიკო დავითაშვილი ცენტრთან დახვდა, მეტოქის კარს ორი მცველის გარემოცვაში მიუახლოვდა, მერე ერთი ჩამოიშორა და დაარტყა, რაც მეკარე გეგეშიძისთვის აუღებელი გამოდგა.

„ამერს“ თავი უკვე ქუდში ჰქონდა, მაგრამ საპასუხო მატჩის წინ 2:1 არცთუ საიმედო ანგარიში რომ არის, კარგად მოგეხსენებათ და დარჩენილი საქმეც თბილისელებმა მეორე ტაიმში გააკეთეს.

შესვენების შემდეგ „გაგრა“ მასპინძლებს კი გაუძალიანდა, თუმცა ბოლომდე ვეღარ გაუძლო. ტაიმის შუაში სტუმართა მცველმა საჯარიმოში ბურთი ხელით შეაჩერა და ალექსანდრე შილაკაძემ პენალტი უყოყმანოდ დანიშნა — დავითაშვილის დარტყმული უნაკლო იყო.

მატჩის ბოლოს კი იმავ დავითაშვილმა კოშკაძეს გაუთამაშა ბურთი და მახვილგონივრული კომბინაციაც გოლით დაამთავრა — დავითაშვილის ჰეთ თრიქი და 4:1 — ასე გაისტუმრა „ამერმა“ „გაგრა“.

დავძინოთ, რომ სულიკო დავითაშვილს წლეულს უკვე ხუთი სათასო გოლი მოუგროვდა.

სათასოდ ხელხვავიანი ამერელი სულიკო დავითაშვილი

ალექსანდრ ალფერიანის ფოტო

თბილისი. 8 ნოემბერი. 14 საათი. ამერი. 5000 (ტევადობა 9000)

ამერი 4:1 გაგრა

0:1 მეტრეველი (19), 1:1 სევასტოპულო (23), 2:1, 3:1, 4:1 დავითაშვილი (37, 66პ, 89)

ამერი: ლ. ნადირაშვილი, გ. კვახაძე, დავითნინიძე, ხვადაგიანი, ბერიანიძე, დობროვოლსკი (ბეალავა 82), ა. კაიდარაშვილი (დარსანია 71), დეკანოსიძე, კოშკაძე, სევასტოპულო (ტატანაშვილი 71), ს. დავითაშვილი	გაგრა: გეგეშიძე, მგალობლიშვილი, ახობაძე (მაისურაძე 77), მამუკაშვილი, აფრიამაშვილი, მგელაძე, ტყეშელაშვილი, ავალიანი, ლ. ჯოხაძე (კუტალია 27), მეტრეველი, მესხი (კირკიტაძე 53)
სათადარიგონი: ნაჭყეპია; გარუჩავა, ნ. ნადირაძე, ჩიმაკაძე	სათადარიგონი: მერაბიშვილი, მჭედლიშვილი, ი. ჯოხაძე
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე	მწვრთნელი: რაჟდენ ტოგონიძე

გაფრთხილება: მგალობლიშვილი (49), კვახაძე (50)

მსაჯები: ა. შილაკაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ა. გუნთაძე (ლანჩხუთი); ა. მეშკოვი (თბილისი)

ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

ფოთელებმა ბათუმში ორი თევზი დაიჭირეს

ბათუმი. 8 ნოემბერი. 14 საათი. დინამო. 100 (ტევადობა 5 000)

ბათუმი 0:2 კოლხეთი

0:1 მარგალიტაძე (26), 0:2 კრასოვსკი (90)

ბათუმი: თოთლაძე, ი. მახარაძე, სიდამონიძე, გალოგრე, ცანავა, გ. ჯელაძე, ბესიკ თედორაძე (დიდია 60), გოგიშვილი (ფარტენაძე 82), გ. მიქაძე, დარჩიძე (ნაჭყებია 69), ზირაქიშვილი	კოლხეთი: ლატარია, რაზმაძე, ნარსია, ფარულავა, გოგენია, კრასოვსკი, ქუტიძე, ვართაგავა, მარგალიტაძე, ზ. ჯანაშია, ზ. ქუთათელაძე (წიქარიშვილი 72)
სათადარიგონი: ბალაძე; ქაცარავა, ფირცხალაიშვილი, დუმბაძე	სათადარიგონი: ბათიაშვილი, სამსეიშვილი, გოჩალეიშვილი, გ. სახოკია, ჩიქობავა, ლოლუა
მწვრთნელი: ოთარ გაბელია	მწვრთნელი: სოსო ფილია

გაფრთხილება: მარგალიტაძე (51), კრასოვსკი (55), ქუტიძე (79), ჯელაძე (83)

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), გ. დოგრაშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი)

ინსპექტორი: გ. ეჯიბია

გიორგი მურვანიძე ბათუმიდან

მატჩი ავდარში ჩატარდა და მოედანიც საშინლად ატალახებული დაუხვდათ გუნდებს.

ფოთელები რევანშის წყურვილით გამოვიდნენ მოედანზე. საჩემპიონატო მატჩში ხომ კოლხები „ბათუმთან“ დამარცხდნენ. რევანშიც შედგა — ფოთელებმა დამაჯერებლად დაამარცხეს მასპინძლები.

„ბათუმი“ საწყის ათ წუთში გამოირჩა. გიზო ჯელაძემ ჩვეული გარღვევის შემდეგ საჯარიმოში ჩააწოდა ბურთი, რასაც ვიტალი დარჩიძის თავური დარტყმა მოჰყვა. ბურთი მეკარეს გადააფრინდა და რომ არა კოლხი მცველი, ანგარიში გაიხსნებოდა.

„ბათუმს“ მეტის ძალა აღარ აღმოაჩნდა, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ოთარ გაბელიას ხუთი ფეხბურთელი აკლდა: მიხეილ კაკალაძე, ზურაბ ექონია, ნიკა გუშარაშვილი, გიორგი მანწკავა და ბეგლარ თედორაძე.

სტუმართა უპირატესობაც თანდათან გამოიკვეთა. მე-20 წუთზე ზამირ ჯანაშიამ შორიდან დარტყმული მეკარემ მოიგერია.

გოლი კი მალე გავიდა: 26-ე წუთზე გიორგი კრასოვსკიმ მარცხენა ფლანგიდან ძლიერად დაარტყა კარში, ბურთი მცველმა მოიგერია, დამატებაზე ჯანაშიამ იმარჯვა, მაგრამ მანაც მცველებს გაარტყა, ასხლეტილი ბურთი ედიშერ მარგალიტაძეს მიუგორდა და 0:1.

ამის შემდეგაც ფოთელებს თითქმის ყველაფერი გამოსდიოდათ. პირველი ტაიმის ბოლოს კი ულამაზესი შეტევაც განახორციელეს: ჯანაშიამ მარცხენა ფლანგზე მარგალიტაძეს გადააწოდა ბურთი, მან კი მოულოდნელად ფლანგი შეცვალა და მეკარესთან პირისპირ გაიყვანა კრასოვსკი, რომელმაც ირაკლი თოთლაძეს ვერაფერი მოუხერხა.

შესვენების მერე წვიმა გაძლიერდა და მოედანიც ისე ატალახტა, რომ ბურთი თითქმის აღარ ვორავდა.

„ბათუმმა“ მთელი მატჩის განმავლობაში პირველი და უკანასკნელი რეალური სახიფათო ეპიზოდი 77-ე წუთზე შექმნა — ივანე მახარაძემ გამჭოლი გადაცემით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა ზაზა ზირაქიშვილი, მაგრამ...

მატჩის ბოლო, 90-ე წუთზე კი სტუმრებმა მეორე გოლის გატანა შეძლეს — ლევან ვართაგავამ კუთხური ჩააწოდა, უყურადღებოდ დარჩენილმა კრასოვსკიმ ბურთი მკერდით გაისწორა და 0:2.

დავით უიფფიანის თასი

მერვეددფინალი. პირველი მატჩები

მცხეთა. 8 ნოემბერი. 14 საათი. არმაზი. 150 (ტევადობა 3 000)

ვიტ ჯორჯია 1:0 ტორპედო

1:0 ებანოიძე (52)

ვიტ ჯორჯია	ტორპედო
ბედიაშვილი, აბშილავა, ა. კვახაძე, ქუხილავა, ჯაფარიძე, პ. დათუნაიშვილი, ლ. რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი (ლ. მანწკავა 46), გ. მელქაძე, ბერიაშვილი, ებანოიძე (ვ. კობახიძე 74)	რევიშვილი, ა. კვერნაძე, ლაღაძე, რ. ბარაბაძე, ბზიკაძე, ფესტვენიძე (მდივნიშვილი 55), ქურციკიძე, გორგოძე, ჯაში (მ. ღონღაძე 40), ჯავოიანი, კავთელაძე
სათადარიგო: მუჯრიშვილი	სათადარიგო: მიგინეიშვილი; ბურჯანაძე, დოღონაძე, ზ. ჭელიძე
მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე	მწვრთნელი: რევაზ ბურკაძე

გაფრთხილება: ბარაბაძე (83, 86)

გაძევება: ბარაბაძე (86)

მსაჯები: ლ. სილაგავა; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ზ. ანიაშვილი (გორი)

ინსპექტორი: მ. ჭელიძე

როგორ უნდა ბრძოლა და დასვენება

მატჩის ერთადერთი გოლი ნუკრი რევიშვილის კარში

დავით თავართქილაძე მცხეთიდან

ატალახებულ მინდორზე ფეხბურთელებმა ტალახი გულმოდგინედ ზილეს, წვივ-კოჭებშიც კარგად უთავაზეს ერთმანეთს, არ იზარმაცეს და არ ილაზღანდარეს და, თუ რატომ არ იყო ხარისხი, ამაზე ახლა ყბას ვერ მოვალებთ — „ვიტ ჯორჯიამ" მოიგო და მეოთხედფინალში გასასვლელად საქმე წინ წაიგდო.

„ვიტ ჯორჯია" მიმდინარე ჩემპიონატში ლიდერია და 13 ნოემბერს თბილისის „ლოკომოტივთან" აქვს მეტად პრინციპული მატჩი. ალბათ ამიტომაც იყო, ვიტელებმა გუშინ თითქმის მეორე შემადგენლობით რომ ითამაშეს. შესაძლოა, „ვიტ ჯორჯიასთვის" ჩემპიონატი თასზე ბევრად მნიშვნელოვანია და ვინძლო ჩემპიონობისთვის ბრძოლა ძალიან ღრმადაც ამოიჭრა გულში.

რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დაასვენა გუშინ „ტორპედომაც" — ქუთაისელებს „ვიტ ჯორჯიასთან" შედარებით სულ სხვა მიზნები აქვთ, მაგრამ ნაცად მოთამაშეთა დასვენება მათთვისაც შეღავათი უნდა იყოს.

ერთი სიტყვით, თასი „ვიტ ჯორჯიასთვის" და „ტორპედოსთვის" ღიადი მიზანი რომ არ არის, ცხადად ჩანს, მაგრამ გუშინ „არმაზზე" ნაღდი ბრძოლა რომ იყო, არც ამას გაუვა წყალი.

მასპინძლები ბურთის ფლობის ხანგრძლივობაში აღემატებოდნენ სტუმრებს და პირველი საგოლე მომენტი ტაიმის შუაწელში გაახერხეს — გიორგი მელქაძემ 17-18 მეტრიდან ცაციით მოხდენილად დააბზრიალა ბურთი და ნუკრი რევიშვილის კარის ხარიხას შეაწყვიტა.

არც „ტორპედო" გამოდგა ჯაბანი — გიორგი გორგოძემ ჩინებული პასი გაუჭრა შოთა ქურციკიძეს, რომელიც პირისპირ დარჩა გრიგოლ ბედიაშვილთან, თუმც მეკარესთან მიახლოებას დარტყმა ამჯობინა და მანაც ხარიხას გაარტყა ბურთი.

ხარიხების მოსინჯვაში გუნდები თანაბრად კი იყვნენ, მაგრამ მწვავე იერიშები ვიტელებს ქუთაისელებზე მეტი დაეთვლებოდათ.

„ტორპედოს" ჯელელი გიორგი ჯაში ისე დაუშავდა, რომ შესაცვლელი შეიქნა — წინასწარი დიაგნოზით, ჯაშს კოჭი აქვს გაბზარული — ბუცებს მართლაც გამეტებით იქნევდნენ „არმაზზე"...

მეორე ტაიმიც „ვიტ ჯორჯიას" იერიშებით დაიწყო და გოლიც მალე გავიდა — გიორგი ბერიაშვილის ნაკუთხურალი ბურთი ლაშა მანწკავამ მოიგო, შემდეგ კი ირაკლი ებანოიძემ შეაგება ბუროს თავი საგოლედ — 1:0.

გოლმა თამაშის მსვლელობა არ შეცვალა, ორივე გუნდი თითქოს იმავე რიტმში განაგრძობდა ბრძოლას და უფრო მწვავე შეტევები კვლავ ვიტელებს გამოსდიოდათ.

მატჩის მიწურულს „ტორპედოს" რატი ბარაბაძე გაუძევეს ორი გაფრთხილების გამო, თუმცა არც ამას შეუცვლია რამე მინდორზე.

ოლივერ დოღაძე თუ შალვა კანი?

თემა საჩხერის, ყელში გაჩხერის

კახა შალამბერიძე

აი, თასი... ასე იყო აქამდე და ალბათ ასე იქნება მომავალშიც — საქვეყნოდ ცნობილი სათასო სპეციფიკა ბარე ორ დიდ გუნდს გასჩხერია ყელში და... აქ გავჩერდეთ: „დინამოს" საპასუხო მატჩი სათამაშო აქვს და ამიტომაც ნაადრევი დასკვნების გაკეთება არ იქნება სწორი. გაჩხერება თუ არა საჩხერე ქვეყნის თორმეტგზის ჩემპიონს, ზემო იმერეთში გაირკვევა.

„დინამო" „დინამოა" და ეს ყველამ იცის. ვერც იმას ვიტყვით, კახა ცხადაძის ბიჭები უნიათოდ თამაშობდნენ ან მოედანს უაზროდ ტკეპნიდნენო. პირიქით, დინამოელებს ხუთი-ექვსი ნაღდი საგოლე მომენტიც ჰქონდათ, მაგრამ... ბუნებრივი ეფექტია — პატარა გუნდის თავგამოდება თუ ჟინი მაინც სხვანაირად ჩანს. ალბათ ამიტომაცაა, „ჩიხურაზე" სასიამოვნო შთაბეჭდილება რომ დაგვრჩა.

ზემოთ დინამოელთა მომენტები ვახსენეთ და, რომ არ დავაკონკრეტოთ, არ იქნება — საჩხერელთა მეკარე შალვა დოღაძე, ვისაც ბაიერნელი ოლივერ კანის მაისურა მოერგო, კატასავით დახტოდა აქეთ-იქით და მისი „ბრალია", სტუმრებმა კარი მშრალად რომ შეინახეს.

სხვათა შორის, „ჩიხურას" ქომაგებიც დაეკვეხნება — გუშინდელ მატჩზე დასასწრებად საჩხერიდან სამი ავტობუსით ჩამოვიდნენ გულშემატკივრები და ომახიანადაც უქომაგეს თავისიანებს. აქა-იქ კი ისიც ითქვა, „ჩიხურას" ფეხბურთელები მოგების შემთხვევაში პრემიის სახით 1000-1000 დოლარს მიიღებენო, თუმცა სტუმართა მწვრთნელმა ბადრი ბრეგვაძემ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ამ კითხვაზე არ გვიპასუხა, პრემიების საკითხი გასაიდუმლოებულია, მაგრამ ნურაფერს გამორიცხავთო.

ახლა თამაშზე: პირველი ხიფათი სტუმრებმა შექმნეს და მერე როგორი — მირიან მიქაძემ ზაურ ხაჭიპერაძე მეკარესთან პირისპირ დატოვა, ხაჭიპერაძეს დროც თავზესაყრელად ჰქონდა და დამიზნებაც მოასწრო, მაგრამ ზვიად სტურუას მაინც ვერ აჯობა.

მერე დინამოელებმაც გამოიღეს ფხა: ლევან მელქაძეს და ლადო დვალიშვილს ცოტაღა დააკლდათ გოლის გასატანად.

მასპინძელთა უპირატესობა დაახლოებით 30-ე წუთიდან გამოიკვეთა და მატჩის ბოლომდე ბურთს ისინი აკონტროლებდნენ, თუმც „საჩხერელი კანი" ვერაფრით გატეხეს.

მეორე ტაიმში „დინამომ" უფრო შმაგად შეუტია, ლაშა ნოზაძემ ძელსაც მოუსინჯა სიმაგრე, თუმცა პასუხიც მყის მიიღო — ბესიკ პეტრიაშვილის ტყვიასავით გასროლილი ბურთი თბილისელთა კარის ხარიხას შეასკდა.

მეტი რაღა ვთქვათ, ფაქტია, ამ შედეგით „ჩიხურამ" უფრო გაიხარა და ახლა საპასუხო მატჩისთვის ილესავს კბილებს. არავინ იცის, რა მოხდება საჩხერეში...

თბილისი. 8 ნოემბერი. 14 საათი. ეროვნული. 900 (ტევადობა 70 900)

დინამო 0:0 ჩიხურა

დინამო	ჩიხურა
სტურუა, ლობჟანიძე, ორბელაძე, ამისულაშვილი, სახვაძე, ლ. ნოზაძე, გ. მერებაშვილი, გ. ჭელიძე (ჩირიკაშვილი 83), ალადაშვილი, ლ. მელქაძე, დვალიშვილი	დოღაძე, მგელაძე, შუკაკიძე, გ. ბრეგვაძე, ქირია, სამხარაძე, გ. ილურიძე, სეფერთელაძე (როსტიაშვილი 62), დ. გოდერძიშვილი, მ. მიქაძე (დ. გოგოლაძე 77), ზ. ხაჭიპერაძე (ბ. პეტრიაშვილი 53)
სათადარიგო: გრიშიკაშვილი; ქემოკლიძე, აკობია, გ. თომაშვილი, გიგაური, ფირცხალავა	სათადარიგო: მეგრელიშვილი; ჭიღლაძე, ტყებუჩავა, ვ. თურმანიძე
მწვრთნელი: კახა ცხადაძე	მწვრთნელი: ბადრი ბრეგვაძე

გაფრთხილება: ქირია (21), ილურიძე (33), ლობჟანიძე (49)

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), დ. ხარიტონაშვილი; მ. მაისურაძე (ორივე თბილისი)

ინსპექტორი: ნ. კაკულია; დირექტორი: პ. ბურჯალიანი

პრესკონფერენცია

ბადრი ბრეგვაძე: ვიცოდით, ვისთანაც გვქონდა საქმე და საამისოდ სერიოზულად მოვემზადეთ. „დინამო" ძლიერი გუნდია, მაგრამ დაწოლას ბოლომდე გავუძელით და ვფიქრობ, მაყურებელიც კმაყოფილი დარჩა. შედეგითაც კმაყოფილი ვარ და თამაშითაც. ყველანაირად ვცდებით, საჩხერეში მოვიგოთ და. მეოთხედფინალში გავიდეთ.

კახა ცხადაძე: „დინამოს" წინააღმდეგ ყველა გუნდი რომ მონდომებულია და მაქსიმალურ ენერგიას ხარჯავს, ძველი ამბავია. ასე იყო ახლაც. „ჩიხურამ" ბოლომდე იბრძოლა და კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა. კარგია, რომ გაამართლა დებიუტანტმა უჩა ლობჟანიძემ, ტრავმის მერე პირველად ითამაშა სერგო ორბელაძემ, სათადარიგოებსაც მივეცი თავის გამოჩენის საშუალება. ვთვლი, რომ „დინამო" მაინც ფავორიტია და ამის დამტკიცებას საჩხერეში ვეცდებით.

ბორჯომი. 8 ნოემბერი. 14 საათი. ცენტრალური

ბორჯომი 2:0 სოხუმი

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე; გ. ვადაჭკორია (სამივე თბილისი); ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ბოლნისი. 8 ნოემბერი. 14 საათი. თამაზ სტეფანია

სიონი 2:0 მესხეთი

მსაჯები: გ. ასკაროღლი (ქარელი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე (სოხუმი); ა. ნონიკაშვილი (თბილისი); ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

თბილისი. 8 ნოემბერი. 14 საათი. შევარდენი

სპარტაკი 0:4 ზესტაფონი

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; ნ. რუსიშვილი, კ. გაბრიაძე (სამივე ქუთაისი); ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ინსპექტორი: ე. სილაგავა

თბილისი. 8 ნოემბერი. 14 საათი. მიხეილ მესხი

ლოკომოტივი 1:0 თბილისი

მსაჯები: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); ხ. გაგნიძე (გორი), ზ. ფიფია (გალი); ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ინსპექტორი: ა. დურსუნიში

საუკუნის ნიძლავი 1X2
ჩემ ძროხებს მოწველი?

ბასტიან შვაინსტაიგერი და ვილი სანიოლი (მარჯვნივ)

12 ნოემბერს საფრანგეთის ნაკრები გერმანიას პარიზში ამხანაგურად უმასპინძლებს. მიუნხენის „ბაიერნის“ გერმანელი ბასტიან შვაინსტაიგერი კი ფრანგებს, ვილი სანიოლსა და ბიქსენტ ლიზარაზუს დაენიძლავა. ნიძლავის პირობა კი ასეთია: ბუნდესნაკრები თუ მოიგებს, სანიოლი შვაინსტაიგერის მშობლიურ სოფელ ობერაუდორფში ჩავა და ძროხებს მოუწველის მინდორზე, რომელზეც „ბასტიმ“ ბალღობაში ბურთის გორება ისწავლა.

ფრანგთა გამარჯვების შემთხვევაში კი შვაინსტაიგერი სანიოლსა და ლიზარაზუს სერფინგის კურსის საფასურს აუნაზღაურებს. სერფინგი თურმე სამივეს ძალიან ჰყვარებია.

ფრეზე ალბათ გაიყრებიან...

ვაჟა ხუციშვილი

ბალაკს მედია შეუჩნდა
რეალში თუ ინტერში, ჟურნალისტები გადაწყვეტენ

მიუნხენის „ბაიერნის“ ვარსკვლავი მიხაელ ბალაკი შესაძლოა, მადრიდის „რეალში“ მართლა გადავიდეს. გერმანულ „კიკერს“ „ბაიერნის“ სპორტულმა დირექტორმა ული ჰაინესმა ამის თაობაზე გუშინ განუცხადა და ფაქტობრივად, იქვე დაადასტურა ბალაკის გუნდიდან წასვლის ამბავი. „მიხაელის მიზნების შესახებ ყველაფერი ვიცი და არც ის არის ჩემთვის უცხო, სეზონის ბოლოს ბალაკი რა გადაწყვეტილებას მიიღებს. რას ვიზამთ, თუ ამ ბიჭს „ბაიერნიდან“ წასვლა უნდა, ხელს არ შევუშლით. ბალაკის გამო კლუბის გაუქმებას ჩვენთან არავინ აპირებს“.

იმავე „კიკერს“ მადრიდის „რეალის“ ვიცე-პრეზიდენტმა ემილიო ბუტრაგენიომაც უთხრა, მიხაელ ბალაკთან წინასწარი შეთანხმება უკვე გვაქვს და სხვა ევროპულ გრანდებზე უფრო მეტი შანსიც ჩვენ გაგვაჩნია. პირველად არ ხდება, „რეალი“ ბალაკისადმი ინტერესს რომ იჩენს: თავის დროზე, როცა გერმანელი „ლევერკუზენში“ თამაშობდა, მისი შეძენის სურვილი „სამეფო კლუბის“ მაშინდელმა პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა გამოთქვა. გასულ ზაფხულსაც მის გადაბირებას „რეალის“ გარდა, „ბარსელონაც“ თავგამოდებით ცდილობდა. თავად მიხაელი კი პრიმერადივზიონისა და ესპანეთის დიდი მოტრფიალე ყოფილა — მის შვილებს ლუიში (ფიგუს საპატივცემულოდ), ემილიო (როგორც ბუტრაგენიოსი) და ხორდი ჰქვიათ. ახლა დანარჩენი თავად განსაჯეთ...

გუშინვე თავი იტალიელებმაც წამოჰყვეს. აპენინური მედიის ბოლო ცნობით, მიხაელ ბალაკის შესაძენად მილანის „ინტერის“ თავკაცობა დიდ ფულს არ იშურებს. უქმეებზე „ინტერის“ სპორტული დირექტორი გაბრიელე ორიალი „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტ კარლ-ჰაინც რუმენიგეს შეხვდა და მილანური კლუბის მფლობელის, მასიმო მორატის დანაბარები გადასცა, თუ მიხაელ ბალაკი ჩვენთან ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს, წლიურად 3 მილიონ ევროს გადავუხდით ჩელფასის სახითო.

„მგონია, რომ მედიამ ჩემზე უკეთ იცის, რომელ კლუბშიც გადავალ. თუ ასეა, ეგებ კონტრაქტის თაობაზე თქვენვე იზრუნოთ“ — იუმორით უთხრა „ბაიერნის“ მოთამაშემ „კიკერს“.

მიხაელ ბალაკი 29 წლისაა და „ბაიერნთან“ კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს ეწურება, ხოლო მისი სატრანსფერო ფასი 26 მილიონი ევროა.

ლადო ხომერიკი

რომანოვმა რიქსი გარისკა
ჰართსის ნაციხარი მწვრთნელი

გრემ რიქსი

შოტლანდიური „ჰართსის“ მწვრთნელად გრემ რიქსი დანიშნეს, ედინბურგული კლუბის ფანებს კი ეს ამბავი არ მოეწონათ და გააპროტესტეს. 1999 წელს რიქსი არასრულწლოვან გოგოსთან სექსის გამო ექვსი თვით ციხეში ჩააყუდეს. „ჰართსის“ გულშემატკივრებიც ამიტომ გაბრაზდნენ, რომ ახალ მწვრთნელს ავტორიტეტი აქვს შელახული.

კლუბის პატრონმა ვლადიმირ რომანოვმა გრემ რიქსის ვექილობა იკისრა: „მას ჰქონდა პრობლემები, მაგრამ შანსი უნდა მივცეთ. ფანების წყრომა მესმის, თუმც ნახეთ მისი კარიერა. „ჩელსიში“ სამი წელი (1997-1999) თანაშემწედ იმუშავა და ექვსი ჯილდო მოიგო. ლონდონში უდიდესი გამოცდილება დაგროვა, რომელსაც „ჰართსში“ გამოიყენებს. მან იცის, რა და როგორ აკეთოს. რიქსის თვალებში ეტყობა, რომ მუშაობა სწყურია“.

48 წლის გრემ რიქსმა სახელი ლონდონის „არსენალში“ გაითქვა, მერე კი „პორტსმუთსა“ და „ოქსფორდში“ მწვრთნელობდა. ინგლისის ნაკრებში 17 მატჩი უთამაშია.

შეგახსენებთ, რომ „ჰართსის“ ყოფილი თავკაცი ჯორჯ ბარლი სამი კვირის წინ რომანოვთან უთანხმოების გამო გაათავისუფლეს. გრემ რიქსს პირველი გამოცდა 19 ნოემბერს „აბერდინთან“ ელის.

ვაჟა ხუციშვილი

კასანო იანვრამდე გადაწყდება
სპალეტი საუკეთესოა

ლუჩანო სპალეტის ანტონიო კასანოს იმედი ჯერ კიდევ აქვს

აპენინური პრესა დიდი ხანია, გვამცნობს, რომ იანვრიდან ანტონიო კასანო „ინტერში“ ან „იუვენტუსში“ აღმოჩნდება. „რომას“ 23 წლის ვარსკვლავს ფეხბურთი თითქმის ორი თვეა, არ უთამაშია. მიზეზი თავადაც მოგეხსენებათ — მას „გლადიატორთა“ ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი აქვს. ყველაფერ იმის მერე, რაც იყო, ძნელი დასაჯერებელია, რომ მხარეები ახალ კონტრაქტზე შეთანხმებას შეძლებენ, თუმც „ჯალოროსის“ თავკაც ლუჩანო სპალეტის ჯერ კიდევ აქვს იმედი.

„ჩემი აზრით, კასანოს პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია. ჩვენ ყველა შესაძლო ვარიანტს განვიხილავთ. მე ვფიქრობ, იგი ისევ ვათამაშო. იანვრამდე დრო გვაქვს და ახლა მთავარია, როგორ ფორმაშია ანტონიო. მისი დარი ფეხბურთელის დაკარგვა კარგი არ არის“ — თქვა სპალეტიმ.

სხვათა შორის, „უდინეზეს“ ყოფილმა დამრიგებელმა ეს განცხადება მას მერე გააკეთა, რაც გასულ სეზონში სერია A-ს საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს და სპეციალური ჯილდო გადასცეს. შეგახსენებთ, შარშან ლუჩანო სპალეტიმ უდინელები ბრწყინვალედ ათამაშა და მეოთხე ადგილზე გაიყვანა.

პრესა კი უკვე კასანოს შემცვლელზე წერს — იგი უდინეზელი დავიდე და მიკელეა. დი მიკელე მიმდინარე სეზონშიც მშვენივრად თამაშობს და გრანდების ყურადღების ცენტრშია. ამბობენ, „რომა“ ამ ტრანსფერისთვის 12 მილიონ ევროს ამზადებსო. დი მიკელესადმი დედაქალაქელთა ინტერესი უკვე ფეხბურთელის აგენტმაც დაადასტურა. თუ შეთანხმება შედგა, დი მიკელე დაბრუნდება იმ ქალაქში, სადაც 12 წლის წინ მისი კარიერა დაიწყო.

ბოლოს კი „რომას“ ერთ-ერთი მმართველის, როზელა სენსის ცოტა ხნის წინ გაკეთებულ განცხადებას გაგახსენებთ: „ანტონიო კასანოს საკითხი დახურულია, იგი მატყუარაა. ამის შესახებ არავისთან საუბარს აღარ ვაპირებ, არა მგონია, რამე შეიცვალოს“.

კოკი კანდელაკი

ალდო ძვირად ფასობს
დუშერი მანჩესტერმა მიიწვია

„მანჩესტერ იუნაიტედი“ გალისიური დეპორტივოს ნახევარმცველის, არგენტინელი ალდო დუშერის შეძენით დაინტერესდა. როგორც ესპანური „ასი“ გვამცნობს, „წითელ ეშმაკებს“ „დეპორისთვის“ მის სანაცვლოდ 8 მილიონი ევრო შეუთავაზებიათ, თუმც გალისიელთა პრეზიდენტ აუგუსტო სესარ ლენდოიროს წინადადება არ მოსწონებია.

„თავის დროზე ალდო დუშერი ლისაბონის „სპორტინგიდან“ 12 მილიონ ევროდ ვიყიდეთ. ახლა კი რა გამოდის, თუ მანჩესტერელებს 8 მილიონზე დავთანხმდით, ვიზარალებთ“ — განუცხადა სენიორ ლენდოირომ მადრიდული „ასის“ ჟურნალისტს.

ალდო დუშერის ხელში ჩაგდებას ცოტა ხნის წინ სხვა ინგლისური კლუბი, „ნიუკასლიც“ ცდილობდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

ლადო ხომერიკი

მილანური ვნებები

კარლო ანჩელოტიმ „ინტერი“ გააქილიკა

იტალიური „მილანის“ თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ სკუდეტოსთვის ბრძოლაში კონკურენტად „იუვენტუსის“ გარდა, „ფიორენტინა“ დაასახელა, აქადა, თანაქალაქელმა „ინტერმა“ შანსი უკვე დაკარგაო.

„ინტერს“ ძალიან გაუჭირდება ჩემპიონობისთვის ბრძოლა. მათ უკვე ბევრი ქულა დაკარგეს. ახლა ჩვენი მთავარი საფიქრალი „ფიორენტინაა“. ფლორენციელებთან შეხვედრა სანაკრებო მატჩების შემდეგ გველის და თუ წავაგეთ, მეორე ადგილზე სწორედ „იები“ აღმოჩნდებიან. ასე რომ, ძალიან ფხიზლად უნდა ვიყოთ“ — აღნიშნა ანჩელოტიმ.

ცხადია, ანჩელოტის ამ განცხადებამ გააღიზიანა „ინტერის“ თავკაცი რობერტო მანჩინი, რომელმაც პასუხი არ დაახანა: „შეიძლება ლიდერებს საგრძნობლად ჩამოვრჩებით, მაგრამ ჯერ ყველაფერი წინ არის, შანსი კიდევ გვაქვს, წინ გაჭრილი კლუბები ქულებს აუცილებლად დაკარგავენ და ამით უნდა ვისარგებლოთ. ახლა მთავარია, ზამთრის შესვენებამდე ქულების მაქსიმუმი ავიღოთ“.

„მილანისა“ და „ინტერის“ ეს დაპირისპირება კულმინაციას 11 დეკემბერს მიაღწევს, როდესაც მორიგ მილანურ დერბის ვიხილავთ. ბევრი რამ სწორედ ამ მატჩის შემდეგ გაირკვევა, განსაკუთრებით „ინტერისთვის“.

ძოკი კანდელაკი


მარსელ დესაიმ (მარჯვნივ) არაბებთან ურთიერთობა გაწყვიტა

დესაი ყატარიდან გაიქცა

მარსელ დესაი ყატარის „ალ გარაფადან“ სამშობლოში დაბრუნდა და კარიერის გაგრძელებას საფრანგეთში აპირებს.

„ჩელსისა“ და „მილანის“ ყოფილი ფეხბურთელი ყატარში 2004 წლის ოქტომბერში წავიდა, მაგრამ კლუბმა ამ შემოდგომაზე კონტრაქტი გაუწყვიტა, რადგან თვითონ დესაიმ ითხოვა — ოჯახთან ახლოს ყოფნა მსურსო.

„საფრანგეთი და სახლი ძალიან მენატრება — თქვა ფეხბურთელმა — დიდხანს განშორებას ვერ ვიტან. თანამემამულე მწვრთნელ ბრუნო მეტსიუსთან ამ კლუბში საუცხოო სეზონი გავატარე და ჩემპიონები გავხდით. აქედან მივდივარ, მაგრამ თამაშს არ მივატოვებ. ჯერ კიდევ მსურს ბურთის გორება. ვივარჯიშებ და შევეცდები, ფორმა შევინარჩუნო“.

მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონმა ისიც განაცხადა, ჯერჯერობით რომელიმე კლუბისგან შემოთავაზება არ მიმიღიაო. „კონკრეტულად არ გადამიწყვეტია, სად გავაგრძელებ კარიერას“ — დასძინა ბიოლოს დესაიმ.

ვაჟა ხუციშვილი



მიხაელ ჰენკე (მარცხნივ)

ჰენკე არის და იქნება

„კაიზერსლაუტერნის“ შეფუცხუნებულ მწვრთნელ მიხაელ ჰენკეს კლუბის თავმჯდომარე რენე ჯაგიმ ნდობა გამოუცხადა.

მოგეხსენებათ, „კაიზერსლაუტერნი“ უკვე მესამე თვეა, თამაშს ვერ იგებს და ცხრილის ფსკერისკენ ეშვება. ბუნდესლიგის ბოლო ტურში „წითლებმა“ ბერლინში. „ჰერთასთან“ 0:3 წააგეს. ამ მატჩის შემდეგ ჰენკეს მოხსნას ვარაუდობდნენ, მაგრამ ჯერჯერობით გადაიფიქრეს. ჯაგის აზრით, ამ დროს მწვრთნელის გაშვება მცდარი იქნება: „არ ვაპირებ, რომ მიხაელ ჰენკე საჯაროდ ვაკრიტიკო — განაცხადა თავმჯდომარემ — მჯერა მისი პროფესიონალიზმის. ის კვლავ გააგრძელებს მუშაობას. ვფიქრობ, პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ფეხბურთელებმა უნდა აიღონ. ზოგიერთი მათგანი თავის საქმეს სათანადოდ ვერ ასრულებს“.

„კაიზერსლაუტერნის“ შეჯანჯღარებულ მწვრთნელს ათი დღე აქვს საიმისოდ, რომ გუნდი გონზე მოიყვანოს. 19 ნოემბერს „წითლები“ „ნიურნბერგს“ უმასპინძლებენ.

ვაჟა ხუციშვილი

ვენგერმა დაუმიზნა

„ფეიენოორდის“ ფორვარდ დირკ კუიტს ლონდონის „არსენალში“ გადასვლა სწადია. „მეთოფეთა“ მწვრთნელი არსენ ვენგერი გასულ კვირადღეს როტერდამში იყო და „ფეიენოორდ“ — „ვიტესის“ მატჩი ნახა, სადაც დირკ კუიტს აკვირდებოდა. ჰოლანდიელმა ფორვარდმა გასულ ორ სეზონში 53 გოლი გაიტანა, ამ შემოდგომაზე კი უკვე რვა.

„მე ფეხი არ ამრევია თამაშისას, მაგრამ ვენგერის სტუმრობა ჩემს სანახავად განსაკუთრებული ამბავია. ჩვენი გუნდის ტექნიკურმა დირექტორმა მარკ ვოტუმ მატჩამდე მითხრა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი პერსონა ჩემი თამაშის საყურებლად ჩამოვიდა. არ ვიცოდი, თუ იგი არსენ ვენგერი იყო. „არსენალი“ დიდებული გუნდია, თუმცა არც მე ვარ ის კაცი, რომელიც გადაირევა“.

გასულ ზაფხულს „ელერტონს“ და „ტოტენჰემს“ სურდათ დირკ კუიტის შეძენა, მაგრამ იძვირეს, რადგან „ფეიენოორდმა“ ფორვარდი 12 მილიონ ევროდ შეაფასა.

ვაჟა ხუციშვილი


აბელ შავიერი დოპინგზე ჩავარდა

აბელ, დალიე?

უეფამ გუშინ დაადასტურა, რომ აბელ შავიერმა აკრძალული პრეპარატი მიიღო. „მიდლსბროს“ პორტუგალიელი ნახევარმცველი სისხლის მეორადმა ანალიზმა დოპინგში ამხილა. 32 წლის ფეხბურთელს ახლა საქმის გარჩევა ელის, რომელიც 17 ნოემბერისთვისაა დანიშნული და სავარაუდოდ, ერთწლიან დისკვალიფიკაციას გამოუწერენ.

„მეორადმა ანალიზმა სისხლში აკრძალული პრეპარატის არსებობა დაადასტურა“ — განაცხადა უეფას პრესმდივანმა. უეფელებმა პრეპარატის სახელი არ გაამხილეს, მაგრამ ინფორმაციამ მაინც გაჟონა და მედიის ვარაუდით, ეს ანაბოლიკური სტეროიდი „დინაბოლია“.

აბელ შავიერი, რა თქმა უნდა, დოპინგის მიღებას უარყოფს და საქმის გარჩევაზე თავის დაცვას აპირებს. შეგახსენებთ, რომ შავიერი 29 სექტემბერს „მიდლსბრო“ — „ქსანთის“ უგოლო მატჩის შემდეგ გაიყვანეს შესამოწმებლად და იქ ამხილეს.

ვაჟა ხუციშვილი

ჰოლანდიელ დირკ კუიტს „არსენალი“ ეკურკურება

მაქსი ახლა სოსიედადს უყვარს

არგენტინელ მაქსი ლოპესს ესპანეთში კიდევ ერთი მსურველი გამოუჩნდა — ბასკური „სოსიედადი“. მოგეხსენებათ, მისი გადაბირების მთავარ მსურველად აქამდე სევილიური „ბეტისი“ მოიაზრებოდა, მაგრამ...

„ლუო მესი, სანტიაგო ესკერო, სამუელ ეტოო, ჰენრიკ ლარსონი. მაქსიმილიანო ლოპესისთვის „ბარსას“ თავდასხმაში ადგილი დარჩა?“ — წერს კატალონიური „სპორტი“ და მეტსახელად „ტანკს“ ოჯარით „სოსიედადში“ აგზავნის.

„ბარსელონა ბრწყინვალე გუნდია, თუმცა, თუ ჩემი კლიენტი ძირითადში ვერ ითამაშებს, იძულებული ვიქნები, სხვა გუნდის ძებნაზე ვიფიქრო“ — განმარტა მაქსი ლოპესის აგენტმა.

ლადო ხომერიკი


მაქსი ლოპესი

სარბიელი

სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ ამკრეფ-ოპერატორს
მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“
რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42,
II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
(ორშაბათის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

სიომინი წავიდა

იური სიომინმა თავისი ნებით დატოვა რუსეთის ნაკრების მწვრთნელის სკამი. მან გუშინ საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ ვიტალი მუტკოსთან ისაუბრა და გადაწყვეტილებაც ამის შემდეგ მიიღო. მუტკომ „პავლოვიჩს“ მადლობა გადაუხადა, რომ ნაკრების თავკაცობა ყველაზე რთულ დროს იკისრა და ისიც დასძინა, სიომინის მწვრთნელობისას გუნდს არ წაუგიაო.

„პორტუგალიასთან მოსკოვურ მატჩში, რომელიც ფრედ დასრულდა, რუსული ფეხბურთის მომავალი ვნახე“ — განაცხადა კავშირის პრეზიდენტმა. იური სიომინმა კი თქვა: „მე ალბათ უფრო საკლუბო მწვრთნელი ვარ“. მოსკოვის „ლოკომოტივის“ ყოფილ თავკაცს არ დაუკონკრეტებია, სად აპირებს მუშაობის გაგრძელებას.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მეორე ადგილის დასაკავებლად ბრატისლავაში სლოვაკეთის ძლევა სჭირდებოდა, მაგრამ მატჩი უგოლოდ დასრულდა.

ვაჟა ხუციშვილი

უინსტონი დამთავრდა



უინსტონ ბოგარდმა კარიერა დასრულა. ის უგუნდოდ იყო მას შემდეგ, რაც 2004-ის ზაფხულში „ჩელსიდან“ გაუშვეს. მერე „აიაქსში“ ვარჯიშობდა ფორმის შესანარჩუნებლად, ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა სურდა, მაგრამ ამაოდ. „ჩელსიში“ ყოფნისას კი სულ ოთხჯერ მოხვდა სასტარტოში.

უინსტონ ბოგარდის კარიერა 1989 წელს „ექსელსიორში“ დაიწყო. შემდეგ როტერდამის „სპარტაში“ გადავიდა, სადაც სამი სეზონი გაატარა. „სპარტას“ მაისურით 55 მატჩში 14 გოლი გაიტანა.

როტერდამიდან ამსტერდამის „აიაქსში“ გადაბარგდა და იქ 62 შეხვედრაში ექვსი გოლი გაიფორმა.

„აიაქსიდან“ „მილანში“ აღმოჩნდა, სადაც მხოლოდ ერთი სეზონი დაჰყო და მერე „ბარსელონას“ მიაშურა. კატალონიურ კლუბში 2000 წლამდე დარჩა და მერე ლონდონის „ჩელსის“ მაისურა მოირგო. 2000-2001 წლებში მწვრთნელი მეტ-ნაკლებად ენდობოდა, შემდეგ კი აითვალწუნეს და სათადარიგოებში გაამწესეს. 2004-ის ზაფხულში მიხვდა, რომ მისი ადგილი „ჩელსიში“ არ იყო და აიბარგა.

ვაჟა ხუციშვილი

რეალს გრავესენი მოგზავრდა

დაახლოებით ერთი წლის წინ მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა გუნდის სკანდინავიელ მოთამაშეს, თომას გრავესენს დანიის საუკეთესო ფეხბურთელი უწოდა. ამ ქება-დიდებიდან 10 თვის მერე კი „რეალის“ უფროსობა სხვაგვარად ალაპარაკდა, მათ ექსევერტონელის თავიდან მოშორება სურთ.

ამბობენ, თომას გრავესენი „რეალს“ სავარაუდოდ, იანვარში დატოვებსო, იგი გალატიკოსთა მწვრთნელ ვანდერლეი ლუშემბურგოს გეგმებიდან ურუგვაელი პაბლო გარსიას მისვლის შემდეგ ამოვარდა. ესპანური გაზეთების ცნობით, ლუშემბურგომ უკვე რამდენჯერმე სთხოვა პრეზიდენტ პერესს გრავესენის სხვა გუნდში გასხვისება.

კატალონიური „სპორტი“ გვამცნობს, რომ დანიელი ნახევარმცველის უკან დაბრუნებით, მისი ძველი კლუბი, ლივერპულის „ევერტონია“ დაინტერესებული — მადრიდელებმა გრავესენი „ევერტონისგან“ 3,5 მილიონ ევროდ იყიდეს და ახლა მის იქ დაბრუნებას გაცილებით ნაკლებ თანხადაც აპირებენო.

თომას გრავესენმა წლეულს მოედანზე ოდენ 203 სათამაშო წუთი დაჰყო. მიუხედავად ამისა, რომ ივი მედიასთან მუდამ მადრიდული კონტრაქტის ბოლომდე მიყვანაზე ლაპარაკობს. გუშინ ისიც გაირკვა, რომ „რეალმა“ გრავესენი გერმანულ „ჰამბურგსაც“ შესთავაზა, კლუბს, სადაც თომასი 1997-2000 წლებში ირიცხებოდა. იოერნ ვოლფი, „ჰამბურგის“ წარმომადგენელი, ჯერჯერობით გრავესენით დაინტერესებას უარყოფს, თუმც ერთი რამ ცხადია — თავხოტორა სკანდინავიელი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ იანვრის მერე აღარ დარჩება.

„რეალში“ კი უკვე ახალ ტრანსფერზე საუბრობენ — მადრიდელებს მოსკოვის „დინამოს“ პორტუგალიელი ნახევარმცველის მანიშერიბეირუს გადაბირება სურთ.

ლადო ხომერიკი

მე იგი არ მჭირდება — ვანდერლეი ლუშემბურგომ თომას გრავესენი მოიძულა

იყიდება

ამერიკიდან ახალი ჩამოყვანილი, 1995 წელს გამოშვებული **ISUZU RODEO** 2.2 ბენზინის ძრავით, იდეალურ მდგომარეობაში, განბაჟებული. ფასი შეთანხმებით. ტელ: 8 99 55 80 27



ფეხბურთის რუკასთან ერთად ევროპის ირგვლივ

იტალიურმა „კალიარიმ“ ამ სეზონში უკვე მესამე მწვრთნელი გაათავისუფლა — ეციო როსისა და დანიელე არიგონის შემდეგ კარისკენ დავიდე ბალარდინისაც მიუთითეს. ივი სარდინიელებს ცოტა ხანს წვრთნიდა და გუნდში ვითარება ვერ გამოასწორა. ამბობენ, ახლა „კალიარის“ მხცოვან კარლო მაცონეს ჩააბარებენო. ლეგენდარული სპეციალისტი ამჟამად უმუშევარია და ერთი სული აქვს, საყვარელ საქმეს როდის დაუბრუნდება. „სან ელიაზე“ მას აქამდეც, 1991-97 წლებში უმუშავია.

ინგლისელი მცველი ჯონათან ვუდგეიტი ისევ დაშავდა: 25 წლის ფეხბურთელმა „რეალისა“ და „სარაგოსას“ მატჩში მარცხენა ფეხის ტრავმა მიიღო და დაახლოებით ერთი თვე კვლავ ექიმებთან მოუწევს სიარული. მადრიდელი მედიკოსები ირწმუნებიან, რომ ამჯერად ყველაფერი გაცილებით მარტივად იქნება და ვუდგეიტი სრულად აღიდგენს სათამაშო ფორმას. მოგეხსენებათ, ჯონათან ვუდგეიტს მსგავსი ტრავმის გამო 18 თვე უქმობა მოუხდა.

იტალიური „ტრევიზოს“ თავკაცი ეციო როსი პოსტის დაკარგვას დროებით გადაურჩა. გასულ უქმეებზე „კალიარისთან“ ნათამაშები უგოლო ფრის შემდეგ კლუბის პრეზიდენტმა ეტორე სეტენმა განაცხადა, მალე ახალი მწვრთნელი გვეყოლებაო, მაგრამ მერე გადაწყვეტილება შეცვალა. ეციო როსის ბედი საბოლოოდ სერია A-ს მომავალ ტურში, „პალერმოსთან“ მატჩში გადაწყდება.

ფრანგული „მონაკოს“ ნახევარმცველმა ხვერარდ ლოპესმა პსჟ-სთან მატჩში სერიოზული ტრავმა მიიღო და ალბათ 6 თვე ველარ ითამაშებს. არადა, 28 წლის ფეხბურთელი მინდორს სულ ცოტა ხნის წინ დაუბრუნდა. ექიმები უფრო ზუსტ დიაგნოზს დაწვრილებითი გამოკვლევის შემდეგ დასვამენ.

ესპანური „ბარსელონა“ 29 ნოემბერს პალესტინა-ისრაელის გაერთიანებულ ნაკრებთან ითამაშებს. ეს მატჩი ამ ორ ქვეყანას შორის დაძაბული ურთიერთობის შედარებით განმუხტვას ისახავს მიზნად. შეხვედრა „კამპ ნოუზე“ გაიმართება.

ბელგიური „ანდერლეხტის“ სერბი ფორვარდი ნენად იესტროვიჩი უეფამ სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. მოგეხსენებათ, 29 წლის ფეხბურთელს ლივერპულელი მოჰამედ ლამინ სისოკოს შეურაცხყოფაში ადანაშაულებენ. „სამწუხაროდ, გადაწყვეტილებას ვერ შევეწინააღმდეგები, რადგანაც უეფა მხოლოდ მსაჯების დასკვნას უსმენს. მათ ოქმში კი ყველაფერი სხვანაირად წერია. მე რასისტი არ ვარ და სისოკოსთვის შავი არ მიწოდებია, თანაც ლანძღვა მან დამიწყო“ — აღნიშნა იესტროვიჩმა.

იტალიური „პალერმოს“ პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ განაცხადა, რომ მიუხედავად არადამაჯერებელი თამაშისა, გუნდის თავკაც ლუიჯი დელ ნერის საფრთხე არ ემუქრება. „ჯერჯერობით საშიშს ვერაფერს ვხედავ. ვფიქრობ, დელ ნერი ჩვენთან დიდი ხნით დარჩება. უბრალოდ, კარგი იქნება, თუ დაცვაში თამაშს გამოვასწორებთ“ — თქვა ძამპარინიმ.

აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ წლის საუკეთესო მოთამაშის კანდიდატთა ხუთკაციანი სია გამოაქვეყნა. მასში ჩელსელები, დიდიე დროგბა და მიკაელ ესიენი, ბორდოელი მარუან შამახი, მონაკოელი ემანუელ ადებაიორი და ბარსელონელი სამუელ ეტოო მოხვდნენ. 19 ნოემბერს სია სამ კაცამდე შემცირდება, ხოლო 9 იანვარს „შავი კონტინენტის“ 2005 წლის უძლიერეს ფეხბურთელს დაასახელებენ.

იტალიურ „ემპოლის“ იანვრიდან ბრაზილიელი ფორვარდი ედერი შეუერთდება, თავდამსხმელის სანაცვლოდ ემპოლელები 550 ათას ევროს გაიღებენ. ედერი ახლა „ლეჩეს“ საკუთრება გახლავთ, თუმც წლეულს ტრავმის გამო მინდორზე წუთითაც არ გასულა.

ინგლისურმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ თვალი უკრაინის ნაკრებისა და დონეცკის „შახტარის“ საყრდენ ნახევარმცველ ანატოლი ტიმოშჩუკს დაადგა. BBC-ის ცნობით, „მანჩესტერის“ ბოსს, ალექს ფერგიუსონს კლუბის ხელმძღვანელობამ ახალი ტრანსფერებისთვის 20 მილიონი გირვანქა უფეშქაშა — შენი სურვილისამებრ იმოქმედეო. ფერგიუსონმაც სიაში პირველად ტიმოშჩუკი ჩაწერა, უკრაინელის მერე კი „სენტ ეტიენის“ მცველი დიდე ზოკორა და „ბაიერნის“ ნახევარმცველი მიხაელ ბალაკი მოდიან.

რუსეთის ჩემპიონ ცსკა-ს ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ვაგნერ ლავმა სამშობლოში დაბრუნების სურვილი გამოთქვა. „კლუბის ხელმძღვანელობას აუცილებლად შევხვდები და ჩემს მომავალზე გულახდილად ვისაუბრებთ. ცსკა-ში უეფას თასი და რუსეთის ჩემპიონატი მოვიგე, ახლა კი დროა, ბრაზილიაში დავბრუნდე. იქ, სადაც არანაკლებად მაფასებენ“ — განაცხადა ვაგნერ ლავმა.

შვედეთის ეროვნული გუნდი 12 ნოემბერს სეულში ამხანაგურად კორეის გაერთიანებულ ნაკრებს შეხვდება. ამ მატჩისთვის შვედთა თავკაცმა ლარს ლაგერბეკმა „იურგორდენის“ 26 წლის ნახევარმცველ იოჰან არნენგს უხმო. სამაგიეროდ, ლაგერბეკმა რატომღაც უარი თქვა იუვენტუსელი ზლატან იბრაჰიმოვიჩისა და ბარსელონელი ჰენრიკ ლარსონის სამსახურზე, რაც იქაურ მედიას ძალიან გაუკვირდა. მწვრთნელს ამასთან დაკავშირებით კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.



AFP ბოლტონიდან

ელ-ჰაჯი დიუფის (შუაში) „ბოლტონი“ პრემიერლიგაში ახლა მესამეა

ბოლტონმა ტოტენჰემი ჩააჩოჩა

ინგლისი

პრემიერლიგა. XII ტური

ბოლტონი 1:0 ტოტენჰემი

1:0 ნოლანი (32)

ბოლტონი: იასკელაინენი, ჯ. ობრაიენი, ბენ ჰაიმი, ჯაიდი, რ. გარდნერი, კ. ნოლანი, ფეიე, სპიდი, იანაკოპულოსი (ჰ. ნაკატა 59), კ. დევისი (ბორგეტი 49), დიუფი (ნგოტი 84)

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

ტოტენჰემი: ჰ. რობინსონი, სტალტერი, დოუსონი, კინგი, ი. ლი (რობი კინი 42), ტაინიო, ჯენასი (მ. ბრაუნი 84), კარიკი, დავიდსი, მიდო, დეფო

მწვრთნელი: მარტინ იოლი

გაფრთხილება: დოუსონი

მსაჯი: ვები

26 634 მაყურებელი

„ბოლტონ უონდერერსმა“

„ტოტენჰემი“ დაამარცხა კევინ ნოლანის 25 იარდიდან გატანილი გოლით და ცხრილში მესამე ადგილზე დამკვიდრდა.

თუმცა მოგებულთა მენეჯერმა სემ ალარდაისმა აღიარა, რომ მისი გუნდი გვერდითი მსაჯის შეცდომამაც გადაარჩინა. ზედიზედ მესამე თამაშია კევინ ნოლანს გამარჯვების გოლი გააქვს, ამ თამაშს კი ნაკრების მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონიც ესწრებოდა.

„ტოტენჰემს“ ქულა ეკუთვნოდა: ჯერმენ დეფოს გოლი სულ ტყუილად მოინათლა თამაშგარედ. თანაც, ბოლო ნახევარი საათი მთლიანად „ტოტენჰემისა“ იყო.

ალარდაისმა თქვა: „საუცხოო გოლის შემდეგ ცოტა მოვეშვით. დეფომ ნაღდი გოლი გაგვიტანა. მერე ძელსაც მოგვირტყეს. ცოტა იღბალი გვჭირდებოდა და მოგვეცა კიდეც“.

„ტოტენჰემის“ შეფი მარტინ იოლი უხასიათოდ იყო: „ამ თამაშიდან რაღაც გვერგებოდა. ყველაფერს სწორად ვაკეთებდით“. ნაკრების მწვრთნელი ერიკსონი კი იმიტომ უფრო იყო „რიბოკის“ სტადიონზე, რომ იმ ხუთი ტოტენჰემელისთვის ეცქირა, საშაბათობ რომ დაიბარა არგენტინასთან სათამაშოდ.

თუმცა, ეგებ უფრო „ბოლტონის“ 23 წლის კაპიტანი ნოლანი მოხვდა თვალში, რომელმაც არა მხოლოდ გოლი გაიტანა, არამედ შუა მოედანშიც დატანჯა სტუმრები.

„ტოტენჰემისთვის“ ეს იყო მხოლოდ მეორე წაგება ამ სეზონში, „ბოლტონმა“ კი ზედიზედ მეხუთედ გაიმარჯვა და მეხუთედ შეინახა კარი მშრალად.

ირაკლი გამყრელიძე

ირაკლი გამყრელიძე

ჩელსი	12	10	1	1	28:7	31
უიგანი	11	8	1	2	13:5	25
ბოლტონი	12	7	2	3	14:11	23
მანჩესტერი	11	6	3	2	16:11	21
არსენალი	11	6	2	3	16:8	20
ტოტენჰემი	12	5	5	2	13:8	20
სიტი	12	6	2	4	14:10	20
ჩარლტონი	11	6	1	4	16:14	19
ვესტ ჰემი	11	5	3	3	14:9	18
ნიუკასლი	12	5	3	4	12:10	18
ბლეკბერნი	12	5	2	5	15:15	17
ლივერპული	10	4	4	2	9:8	16
მიდლსბრო	12	4	3	5	15:16	15
ფულემი	12	3	3	6	12:16	12
პორტსმუთი	12	2	4	6	11:15	10
ევერტონი	11	3	1	7	4:12	10
ასტონ ვილა	12	2	3	7	10:21	9
ვესტ ბრომვიჩი	12	2	2	8	9:22	8
ბირმინგემი	12	1	3	8	7:17	6
სანდერლენდი	12	1	2	9	11:24	5

კინი მართალი ყოფილა

როი კინის კრიტიკამ მანჩესტერელები გონზე მოიყვანა

„ჩელსის“ დამარცხების შემდეგ „მანჩესტერში“ სული მოითქვეს და გაამაყდნენ კიდეც.

ჯერ ალან სმიტმა თქვა, როი კინის მწვავე საჯარო კრიტიკა მოვისმინე და, როგორც მოთამაშემ მივიღეო, მერე კი სხვებმაც ამოიღეს ხმა.

კინისგან გაკრიტიკებულმა რიო ფერდინანდმა, რომელმაც ნაკრებშიც დაკარგა ადგილი და მშობლიური ფანებიც აუხირდნენ, თქვა, ასეთი მძიმე თვე ცხოვრებაში არ მქონია და ხასიათის სიმტკიცე სწორედ ახლა მჭირდებაო. რიომ ისიც დაუმატა, როი კინს ყველანაირი უფლება ჰქონდა ჩემი კრიტიკისა, რადგან მე საკუთარ თავზე უარესებს ვფიქრობდი, ვიდრე როიმ თქვაო.

ამასობაში, მადრიდიდან ვერ მოისვენა დევიდ ბექემმა და შემოთვალა: „როი ცამდე მართალია, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კაპიტანია და კაპიტანს უფლება აქვს, გუნდი ამ ხერხითაც შეანჯღრიოს“.

სერ ალექსი კი, როგორც ჩანს, თავლების წმენდას მოჰყვა. მან თავის მარჯვენა ხელს, კარლუშ კეირუშს თამაშის დროს ფეხბურთელებისთვის მითითებების მიცემა აუკრძალა. აქამდე, როგორც წესი, არა ფერგი, არამედ კეირუში ყვიროდა ტექნიკური ზონიდან.

საერთოდ კი, ბოლო ხანს კეირუშის გავლენა გუნდზე გვარიანად გაიზარდა და ფანებისგან დაწუნებული ერთთავდამსხმელიანი, ფრთხილი ტაქტიკაც მისი შემუშავებული იყო. ახლა სერ ალექსი დაწოლას აძლიერებს. ტყუილად არ უთქვამს რიო ფერდინანდს, „ჩელსის“ სწორედ სერ ალექსისთვის მოვუგეთ და არა ცხრილისთვისო.

ირაკლი გამყრელიძე

საფრანგეთი

II დივიზიონი. XV ტური

კაენი 0:0 მონპელიე

სედანი	14	8	4	2	20:13	28
ბასტია	14	8	3	3	21:9	27
ლორიანი	15	7	5	3	21:11	26
ვალანსი	15	7	5	3	18:12	26
კრეტეი	15	7	4	4	24:13	25
შატორუ	15	6	6	3	21:17	24
ამიენი	15	5	6	4	18:15	21
კაენი	15	4	7	4	16:13	19
ბრესტი	15	4	7	4	16:15	19
გრენობლი	15	5	4	6	13:16	19
ლე ავრი	15	4	6	5	19:19	18
ისტრი	15	4	6	5	14:16	18
დიჟონი	15	4	6	5	12:15	18
გენიონი	15	3	8	4	11:17	17
კლერმონი	15	4	5	6	11:23	17
რეიმსი	15	3	7	5	8:10	16
ლავალი	15	4	3	8	15:23	15
მონპელიე	15	3	5	7	13:22	14
სეტე	15	2	7	6	15:21	13
გენგამი	15	1	8	6	7:13	11

გერმანია

II ბუნდესლიგა. XII ტური

ალემანია 2:1 ბრაუნშვაიგი

1:0 ებერსი (46), 1:1 ამედიკი (73), 2:1 ამედიკი (87ს.ჯ.)

ბოხუმი	12	6	5	1	19:9	23
მიუნხენი	12	7	2	3	20:11	23
კოტბუსი	12	7	2	3	24:16	23
ფრაიბურგი	12	6	3	3	17:14	21
კარლსრუე	12	6	3	3	15:12	21
პადერბორნი	12	6	2	4	20:12	20
ფიურტი	12	6	2	4	22:20	20
ალემანია	12	6	1	5	21:16	19
ბრაუნშვაიგი	12	5	3	4	15:12	18
აუე	12	4	5	3	12:9	17
ჰანზა	12	5	2	5	16:16	17
ზიგენი	12	4	3	5	18:14	15
ბურგჰაუზენი	12	3	5	4	14:18	14
ოფენბახი	12	4	2	6	13:23	14
უნტერჰახინგი	12	3	2	7	16:20	11
დინამო	12	3	2	7	15:21	11
ალენი	12	1	5	6	13:22	8
ზაარბრიუკენი	12	1	1	10	7:32	4

საბერძნეთი

ეროვნული ლიგა. IX ტური

ეგალეო 1:1 ირაკლისი

ოლიმპიაკოსი	9	7	0	2	20:5	21
აეკ	9	6	2	1	13:4	20
ქსანთი	9	6	1	2	13:7	19
პანათინაიკოსი	9	5	2	2	12:8	17
პაოკ	9	4	3	2	15:8	15
ლარისა	9	3	3	3	13:10	12
ატრომიტოსი	9	3	3	3	10:8	12
ეგალეო	9	2	6	1	7:7	12
იონიკოსი	9	2	5	2	11:14	11
ირაკლისი	9	3	2	4	8:11	11
ლევადიაკოსი	9	2	4	3	7:9	10
ოფი	9	2	3	4	7:13	9
კალამარია	9	2	2	5	7:14	8
პანიონიოსი	9	2	2	5	8:18	8
აკრატიტოსი	9	1	3	5	4:9	6
კალითეა	9	1	1	7	6:16	4

უკრაინა

უმაღლესი ლიგა. XV ტური

ზაკარპატია — ილიჩევეცი 1:1; მეტალურგი (ზ) — ჩერნომორეცი 1:0; ხარკოვი — მეტალისტი 1:0; სტალი — ვორსკლა 2:0; არსენალი — მეტალურგი (დ) 0:2; ტავრია — ვოლინი 1:2; შახტარი — დინამო 0:1; კრივბასი — დნიპრო 2:2

დინამო	15	12	3	0	35:7	39
შახტარი	15	12	2	1	33:6	38
ვოლინი	15	8	2	5	24:26	26
ილიჩევეცი	15	7	4	4	16:16	25
მეტალურგი (დ)	15	6	6	3	21:11	24
ჩერნომორეცი	15	7	3	6	20:13	24
მეტალისტი	15	7	2	6	21:23	23
ხარკოვი	15	6	3	6	22:19	21
სტალი	15	4	5	6	11:21	17
დნიპრო	15	4	4	7	13:17	16
ვორსკლა	15	4	4	7	14:21	16
კრივბასი	15	3	5	7	10:15	14
არსენალი	15	3	5	7	12:21	14
ტავრია	15	4	2	9	12:21	14
მეტალურგი (ზ)	15	3	4	8	15:25	13
ზაკარპატია	15	1	4	10	7:24	7

იტალია

სერია B. XIV ტური

მოდენა 0:0 ვერონა

მანტოვა	14	10	4	0	21:7	34
ტორინო	14	7	5	2	13:9	26
მოდენა	14	6	7	1	17:8	25
ატალანტა	14	8	1	5	21:17	25
არეცო	14	6	6	2	18:10	24
ჩეზენა	14	7	3	4	20:15	24
ვერონა	14	5	7	2	15:8	22
პიაჩენცა	14	6	4	4	22:17	22
ბრეშა	14	5	6	3	20:15	21
კატანია	14	5	6	3	18:15	21
კროტონე	14	5	5	4	14:11	20
ტრიესტინა	14	5	4	5	12:15	19
პესკარა	14	5	3	6	18:19	18
რიმინი	14	4	5	5	17:18	17
ბარი	14	4	5	5	15:16	17
ბოლონია	14	4	5	5	15:16	17
ალბინოლეფე	14	2	7	5	9:12	13
ვიჩენცა	14	3	4	7	15:23	13
აველინო	14	2	4	8	11:24	10
ტერნანა	14	2	4	8	7:22	10
კატანზარო	14	2	2	10	7:18	8
კრემონეზე	14	1	3	10	9:22	6

არგენტინა

აპერტურა. XIII ტური

ბანფილდი 1:1 ბოკა ხუნიორსი

ბოკა ხუნიორსი	13	8	4	1	26:10	28
ველესი	13	8	2	3	18:9	26
ესტუდიანტესი	13	7	1	5	17:12	22
ხიმნასიალპლატა	12	7	1	4	15:14	22
არგ. ხუნიორსი	12	6	3	3	12:8	21
ინდეპენდიენტე	12	5	5	2	21:14	20
ბანფილდი	13	4	8	1	17:12	20
სან ლორენსო	12	5	4	3	20:17	19
ოლიმპო	12	4	7	1	14:11	19
რივერ პლეიტი	12	5	2	5	15:13	17
როსარიო	13	4	3	6	14:23	15
არსენალი	12	3	5	4	12:14	14
ლანუსი	12	3	5	4	11:17	14
ინსტიტუტო	12	2	6	4	6:11	12
ოლდ ბოისი	13	3	3	7	14:21	12
ხიმნასიალხუხუი	12	2	5	5	14:18	11
რასინგი	12	3	2	7	13:18	11
კილმესი	12	2	5	5	11:16	11
კოლონი	12	2	4	6	15:22	10
ტიროფედერალი	12	2	1	9	12:17	7

პორტუგალია

სუპერლიგა. X ტური

აკადემიკა 1:0 გიმარაეში

1:0 მარსელი (14)

ბრაგა	10	7	2	1	10:2	23
ნასიონალი	10	6	3	1	12:4	21
პორტუ	10	6	3	1	13:6	21
ბენფიკა	10	5	3	2	17:9	18
სეტუბალი	10	5	2	3	6:3	17
სპორტინგი	10	5	2	3	14:14	17
ბოავიშტა	10	3	6	1	15:10	15
რიუ ავე	10	4	3	3	15:14	15
ფერეირა	10	4	1	5	11:14	13
მარიტიმუ	10	2	5	3	12:13	11
ნავალი	10	3	2	5	12:14	11
ლეირია	10	3	2	5	11:13	11
აკადემიკა	10	3	2	5	9:11	11
ჟილ ვისენტე	10	3	2	5	9:13	11
ბელენენსეში	10	3	1	6	13:15	10
ამადორა	10	2	3	5	8:12	9
გიმარაეში	10	2	1	7	5:15	7
პენაფიელი	10	1	3	6	8:18	6

ჩეხეთი

გამბრინუსლიგა. XII ტური

პრუიბრამი 2:2 ლიბერეცი

ლიბერეცი	12	8	3	1	20:7	27
ტეპლიცე	12	7	3	2	18:10	24
სიგმა	12	7	1	4	19:18	22
სლავია	12	6	3	3	22:14	21
პრუიბრამი	12	5	4	3	19:14	19
იაბლონეცი	12	5	3	4	18:16	18
ბოლესლავი	12	5	3	4	19:18	18
პლზენი	12	4	4	4	14:14	16
ბანიკი	12	4	4	4	12:12	16
ზლინი	12	4	3	5	12:13	15
სპარტა	12	4	1	7	16:21	13
იჰლავა	12	3	4	5	10:17	13
მოსტი	12	3	2	7	12:15	11
სლოვაკეკო	12	2	5	5	11:15	11
ბლშანი	12	2	4	6	13:25	10
ბრნო	12	1	5	6	12:18	8



მარჩელო ლიპი: ვფიქრობ, შანსი ყველას აქვს

ლიპი ყველას დაუძახებს

იტალიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური უკვე გაინაღდა და ახლა მარჩელო ლიპი ფაქტობრივად, მთლიანად ექსპერიმენტებზეა გადართული. მოგეხსენებათ, გამოცდილ სპეციალისტს სურს, შანსი ყველას მისცეს.

„სკუადრა აძურას“ 11 ნოემბერს ჰოლანდიასთან და 16 ნოემბერს კოტ დივუართან ამხანაგური მატჩები ელის. ამ შეხვედრებისთვის ლიპიმ უკვე შეარჩია 23 ფეხბურთელი.

ნაკრებს 2003 წლის ნოემბრის შემდეგ დაუბრუნდა კრისტიან აბიატი, რომელიც ბოლო დროს „იუვენტუსში“ კარგი თამაშით მოექცა ყურადღების ცენტრში. მის გარდა, გამოძახებულნი არიან ვეტერანი ანჯელო პერუცი და ნაკრების დებიუტანტი მარკო ამელია.

თავდასხმაში ყველაზე მეტი ყურადღება ლუკა ტონის, ალბერტო ჯილარდინოსა და ალესანდრო დელ პიეროს ექცევათ. ეს სამეული ბოლო დროს მშვენივრად ბურთაობს და მარჩელო ლიპის მოწონებასაც იმსახურებს. მათთან ერთად განაცხადში კიდევ სამი ფორვარდია — ფრანჩესკო ტოტი, კრისტიან ვიერი და ვინჩენცო იაკინტა.

„ვიცი, ბევრს საუბრობდნენ, რომ „მილანს“ ვერ მოვერგებოდი, მაგრამ, მგონი, ახლა ყველა ეს ჭორი გაქარწყლდა. პრობლემები უკან მოვიტოვე“ — თქვა ჯილარდინომ.

დიდი მითქმა-მოთქმაა ალექს დელ პიერ...ის გარშემოც. როგორც იცით, ლიპიმ თქვა, „პინტურიჩოს“ გერმანიაში წასვლა გარანტირებული აქვსო, რის მერეც ვეტერანი ფეხბურთელი გაცილებით უკეთ ათამაშდა და მწვრთნელის სიმპათიაც დაიმსახურა. გასულ უქმეებზე დელ პიერომ „ლივორნოს“ კარში თავისი მორიგი გოლი გაიტანა და ახლა „იუვეს“ ლეგენდა ჯამპიერო ბონიპერტის რეკორდამდე (182 გოლი) ოთხი ბურთიღა უკლია.

ალესანდრო დელ პიერო: „ისევე როგორც ყველას, მეც იმედი მაქვს, რომ მუნდიალზე მოვხვდები. ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ, ხოლო დანარჩენი მწვრთნელის საქმეა. რაც შეეხება ბონიპერტის რეკორდს, რაკი ამაზე ხშირად არ ვსაუბრობ, არ ნიშნავს, რომ არც ვფიქრობ“.

ლუკა ტონის კი ზედმეტი წარდგენა არ სჭირდება: ფიორენტინას“ ფორვარდი ბრწყინვალე ფორმაშია და სერია A-ში გამართულ 11 ტურში 13 გოლი აქვს შეგდებული.

ვახსენოთ ლაციოელი მასიმო ოდოც, რომელიც გარკვეული პაუზის მერე დაუბრუნდა ნაკრებს და ძალიან გახარებულია.

„ჩემი ოცნება იყო, მწვრთნელს ისევ გამოვეძახე და იგი ახდა. დიდი იმედი მაქვს, მუნდიალზეც მოვხვდები. ამისთვის თავს არ დავზოგავ“ — განაცხადა „ლაციოს“ 29 წლის მცველმა.

კოკი კანდელაკი

იტალიის ნაკრები

მეკარეები: *კრისტიან აბიატი (იუვენტუსი), მარკო ამელია (ლივორნო), ანჯელო პერუცი (ლაციო);*

მცველები: *ფაბიო გროსო, ანდრეა ბარძალი, კრისტიან ძაკარდო (პალერმო), ფაბიო კანავარო, ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი), მარკო მატერაცი (ინტერი), ალესანდრო ნესტა (მილანი), მასიმო ოდო (ლაციო);*

ნახევარმცველები: *სიმონე ბარონე (პალერმო), მაურო კამორანეზი (იუვენტუსი), ანდრეა პირლო, ჯენარო გატუზო (მილანი), აიმო დიანა (სამპდორია), დანიელე დე როსი (რომა);*

თავდამსხმელები: *ფრანჩესკო ტოტი (რომა), ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი), ალბერტო ჯილარდინო, კრისტიან ვიერი (მილანი), ლუკა ტონი (ფიორენტინა), ვინჩენცო იაკინტა (უდინეზე)*

ფრთხილად ბრაზილია, ბრაზილია ძლიერია!

სანაკრებო თამაშების კვირაა და სანაკრებო თემას შევეხმიანოთ. ხოლო, როდესაც საუბარი ნაკრებებზეა, ადამიანს, პირველ რიგში ნათქვამთა შორის სიტყვა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონისკენ, ბრაზილისკენ გაგირბის

1982 წელი. ბრაზილიამ იტალიასთან ნახევარფინალი მოულოდნელად წააგო

მაშ ასე, ბრაზილია გახლავთ ის გუნდი, რომელიც გერმანიაში, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ორი მარტივად ამოსაცნობი მიზნით ჩადის — გახდეს ექვსგზის ჩემპიონი და ითამაშოს ისეთი ფეხბურთი, როგორსაც მისგან ელიან. უფრო სწორედ, როგორი ფეხბურთის უპირატესობის დამტკიცებაც თავადვე ისტორიულად აქვს ნაკისრები. დაგვეთანხმებით, საშინელი ამოცანაა. მაშინ, როდესაც მსოფლიოს ყველა ქვეყანა უდიდესი სიამოვნებით გახდებოდა ჩემპიონი და ამასთან სტილს არად დაგიდევდათ, ბრაზილიელებს მაინც და მაინც იმ თავისი „ჯადოსნური ფეხბურთის“ თამაში ევალებათ.

მეორე მხრივ კი, რატომაც არა? გასულ ზაფხულს გერმანიაში გამართულმა კონფედერაციათა თასმა ნათლად დაგვანახა, რომ პენტაკამპეონებს ამ მიზნის დასახვის უფლება აქვთ. გავიხსენოთ, რა დონის თავდამსხმელები და შეტევაზე მომართული სხვა ფეხბურთელები ჰყავს ბრაზილიელთა თავკაც კარლოს ალბერტო პარეირას: ადრიანო, კაკა, რობინიო, რონალდინიო და რონალდო. ეს ის გვარებია, რომელთა ჩამოსათვლელად მეხსიერების დაძაბვა არ არის საჭირო. ჰოდა, რაა გასაკვირი, გერმანია 2006-ის ფავორიტად ხალხი ბრაზილიას რომ ასახელებდეს, თუმცა საკუთრივ ბრაზილიური ფეხბურთის ისტორიაში არის მწარე მაგალითი იმისა, რომ მხოლოდ დიდი ფეხბურთელებისგან შედგენილი დიდებული გუნდი მსოფლიოს ჩემპიონობას არ ნიშნავს. 1982 წელზე მოგახსენებთ.

DREAM TEAM

1982 წელს ბრაზილიის ნაკრები ესპანეთში დაუმარცხებელ გუნდად ჩავიდა. ჩემპიონატის წინა წელიწადს ბრაზილიელებმა მოიგეს შესარჩევი ციკლის ოთხივე თამაში და ამხანაგური სტუმრობები ინგლისში, საფრანგეთსა და გერმანიაში. დღიდან თანამდებობაზე დანიშვნისა, მწვრთნელი ტელე სანტანა თავისი, შემტევი საფეხბურთო სტრატეგიის თანახმად ადუღაბებდა საოცარი ინდივიდუალისტების გუნდს, რომლის ნახევარდაცვის ბადალი საკუთრივ ბრაზილიელ ქომაგებსაც, ალბათ არ ენახათ. ენერგიის მთავარი მფრქვეველი გახლდათ ტონინიო სერეზო, რომლის ყოვლისმომცველობა შემოქმედებითი ნიჭის გახსნის საშუალებას აძლევდა სოკრატესსა და ფალკაოს, ხოლო ყველაფერ ამას კვარტეტად კრავდა დიდებული გამთამაშებელი ზიკო.

ნახევარმცველები ნახევარმცველებად და თვით განაპირა მცველები, ლეანდრო და ჟუნიორიც კი შეტევაში ჩართვებით განუმეორებელ სიმწვავეს მატებდნენ თამაშს. წინ, შუბის წვერზე კი იდგა უმძლავრესი დარტყმის პატრონი ედერი.

ესპანეთში

მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველმა თამაშმა ბრაზილიას საბჭოთა კავშირთან უწია. რა შეიძლება იმ თამაშზე ითქვას? უპირველეს ყოვლისა ის, რომ სტატიას ბრაზილიელებზე რომ არ ვწერდეთ, აუცილებლად ბევრს ვილაპარაკებდით, თუ რა ძლიერად ითამაშა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ თენგიზ სულაქველიძე, ალექსანდრე ჩივაძე, ვიტალი დარასელია და რამაზ შენგელია. რამაზ შენგელიას იმ დღეს მსაჯმა არ ჩაუთვალა გოლი და მისი წაქცევისთვის სხვა ეპიზოდში არ დანიშნა პენალტი — მაშინ მთელი საქართველო დარწმუნებული იყო, რომ არბიტრი ორივე ეპიზოდში შეცდა. თუმცა, რატომ მხოლოდ მაშინ...

მოკლედ, ბრაზილიამ ედერის გვიანი გოლით 2:1 მოიგო, ხოლო შემდეგ შეხვედრაში შოტლანდიასთან მართალია, პირველმა გაუშვა გოლი, მაგრამ იმ ერთის მერე ოთხი მიაყოლა. რაც შეეხება ჯგუფის ბოლო მატჩს, ავსტრალიასთან მოგება იმხანად სამგზის ჩემპიონებს არ გასჭირვებიათ.

1982 წლის ბრაზილიის ლეგენდარული ნაკრების ყოჩი ზიკო გახლდათ

აქ, უნდა დავძინოთ, რომ იმ წელიწადს მუნდიალზე ორი ჯგუფური ეტაპი გაიმართა და მეორეში ბრაზილია მსოფლიოს მაშინდელ ჩემპიონ არგენტინასა და მომავალ ჩემპიონ იტალიასთან მოხვდა. შეგახსენებთ, რომ საუბარია 1982 წელზე, როდესაც მსოფლიო ფეხბურთში არც მეტი, არც ნაკლები, ჭაბუკი დიეგო მარადონა შემოდიოდა და პელეს „სამეფო ტახტს“ ეზომებოდა.

მაგრამ ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამართულ დაპირისპირებაში ოვაცია მარადონას არ დაუმსახურებია, იმ მატჩის გმირი ზიკო გახლდათ. ბრაზილიამ 3:1 მოიგო, ხოლო მარადონა გაანიხლდა, კარატესმაგვარი ილეთით ინხუბა და წითელი ბარათი იხილა.

ამ მოგების შემდეგ ტელე სანტანას ჯადოსნურ გუნდს ფინალში გასავლელად იტალიასთან ფრე სჭირდებოდა.

ვითომ, რატომაც არ უნდა მოეგო? მის შედეგებთან შედარებით იტალიელთა შედეგები ხომ ერთობ მოკრძალებულად გამოიყურებოდა: პირველ ჯგუფურ ეტაპზე სამი ფრე და მეორე ადგილი...

მაგრამ მოხდა ის, რასაც სად, სად და, ბრაზილიაში ალბათ არავინ ელოდა — გაიმარჯვა არა ტელე სანტანას, არამედ ენცო ბეარზოტის გუნდმა 3:2.

ეს მატჩი, რომელშიც პაოლო როსიმ ჰეთ თრიქი შეასრულა, დაუვიწყარი გახლდათ. გასაოცარი იყო, როგორც იტალიელთა, ასევე ბრაზილიელთა თამაში სავსე ვირტუოზული ილეთებით, სვლებითა და გოლებით, მაგრამ... სხვაგან რა მოგახსენოთ და მერე, თბილისში დიდხანს გმობდნენ დამოკიდებულებას: გამიტან ერთს, გაგიტან ორს, გამიტან ორს, გაგიტან სამს და ასე შემდეგ.

ხომ ხედავ, თურმე ყოველთვის ვერ გაუტანო, ამბობდნენ თბილისელები.

დღეს

დღეს კი ასეა: კარლოს ალბერტო პარეირამ საბოლოოდ 4-2-2-2 განლაგება ამჯობინა, რადგან ასე ხუთი უდიდესი ფორვარდიდან ოთხს მოედანზე გასვლის საშუალება მიეცემა, ხოლო განაპირა მცველები, სავარაუდოდ, კაფუ და რობერტო კარლოსი შეტევებშიც ჩაერთვებიან.

ვაი, დედა!

პაპუნა კედია

სარგებელი ᲓᲐ კრიკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		9 ნოემბერი						
23:45	349	უენსდი-კარდიფი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
		ინგლისი. I ლიგა						
		11 ნოემბერი						
23:45	3	სუინდონი-ბრისტოლი	2.30	3.00	2.75	1.30	1.25	1.43
		12 ნოემბერი						
19:00	4	ბორნმუთი-ნოტინგემი	2.30	3.10	2.75	1.32	1.25	1.45
18:00	5	ბრედფორდი-ბარნსლი	2.20	3.10	2.90	1.28	1.25	1.49
17:00	6	ჩესტერფილდი-პორტ ვეილი	2.05	3.10	3.20	1.23	1.24	1.57
19:00	7	ჰარტლპული-ბრენტფორდი	2.30	3.10	2.75	1.32	1.25	1.45
18:00	8	როტერჰემი-კოლჩესტერი	2.15	3.10	3.00	1.26	1.25	1.52
18:00	9	საუთენდი-სუონსი	2.10	3.10	3.15	1.25	1.25	1.56
18:00	10	ტრანმერი-დონსი	1.85	3.20	3.70	1.17	1.23	1.71
19:00	11	უოლსოლი-ჯილინგემი	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69
18:00	12	იოვილი-ჰადერსფილდი	2.50	3.10	2.55	1.38	1.26	1.39
		13 ნოემბერი						
18:00	13	ოლდემი-დონკასტერი	2.00	3.10	3.35	1.21	1.25	1.61
20:00	14	ბლეკპული-სკანთორპი	2.50	3.10	2.45	1.38	1.23	1.36
		ინგლისი. II ლიგა						
		11 ნოემბერი						
23:45	15	მენსფილდი-ბერი	1.95	3.20	3.40	1.21	1.23	1.64
23:45	16	რაშდენი-ბოსტონი	2.55	3.10	2.45	1.39	1.24	1.36
23:45	21	გრიმსბი-მაკლსფილდი	1.60	3.40	5.00	1.08	1.21	2.02
		12 ნოემბერი						
18:00	17	როვერსი-როჩდეილი	2.35	3.00	2.65	1.31	1.24	1.40
18:00	18	ნოტსი-ჩელტენემი	2.00	3.10	3.35	1.21	1.25	1.61
18:30	19	დარლინგტონი-უიკომბი	2.55	3.10	2.45	1.39	1.24	1.36
19:00	20	ჩესტერი-ნორთჰემპტონი	2.25	3.00	2.80	1.28	1.24	1.44
19:00	22	ლინკოლნი-შრიუსბერი	1.95	3.20	3.40	1.21	1.23	1.64
19:00	23	ოქსფორდი-რექსემი	2.10	3.00	3.30	1.23	1.28	1.57
19:00	24	პიტერბრო-ლეიტონი	2.40	3.00	2.65	1.33	1.25	1.40
19:00	25	ტორკი-კარლაილი	2.45	3.10	2.55	1.36	1.24	1.39
		13 ნოემბერი						
17:30	26	სტოკპორტი-ბარნეტი	2.20	3.10	2.90	1.28	1.25	1.49
		ინგლისი. კონფერენსი						
		12 ნოემბერი						
16:00	28	გრეისი-აკრინგტონი	1.70	3.30	4.20	1.12	1.21	1.84
19:00	29	ალდერშოტი-გრეივსენდი	2.10	3.30	3.00	1.28	1.23	1.57
19:00	30	ალტრინჰემი-ექსეტერი	2.85	3.30	2.15	1.52	1.22	1.30
19:00	31	ქროული-საუთპორტი	2.05	3.20	3.10	1.24	1.23	1.57
19:00	32	ფორესტ გრინი-კონვი	2.30	3.10	2.75	1.32	1.25	1.45
19:00	33	ჰალიფაქსი-დაგ ენდ რედი	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
19:00	34	ჰერეფორდი-უოკინგი	1.95	3.30	3.30	1.22	1.22	1.64
19:00	35	მორიკომბი-კემბრიჯი	1.65	3.40	4.50	1.11	1.20	1.93
19:00	36	სტივენეიჯი-კიდერმინსტერი	1.70	3.40	4.20	1.13	1.21	1.87
19:00	37	ტემუორთი-სკარბორო	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		12 ნოემბერი						
19:00	38	ერდრი-ჰამილტონი	2.75	3.30	2.15	1.50	1.20	1.30
19:00	39	ბრეჩინი-როსი	4.00	3.50	1.65	1.86	1.16	1.12
19:00	40	კლაიდი-სტ.მირენი	2.65	3.30	2.20	1.46	1.20	1.32
19:00	41	დანდი-სტ.ჯონსტონი	2.55	3.30	2.30	1.43	1.20	1.35
19:00	42	ქუინი-სტრანრარი	2.40	3.30	2.50	1.38	1.22	1.42
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		12 ნოემბერი						
19:00	43	ალოა-მორტონი	5.00	3.70	1.50	2.12	1.15	1.06
19:00	44	ეარი-რეითი	2.65	3.30	2.25	1.46	1.21	1.33
19:00	45	დამბარტონი-ფორფარი	2.05	3.40	2.90	1.27	1.20	1.56
19:00	46	პარტიკი-ვრეტნა	4.20	3.40	1.65	1.87	1.18	1.11
19:00	47	პიტერჰედი-სტირლინგი	2.10	3.40	2.90	1.29	1.21	1.56
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		12 ნოემბერი						
19:00	48	ალბიონი-ელგინი	2.00	3.50	2.90	1.27	1.18	1.58
19:00	49	არბროთი-ბერიკი	4.00	3.50	1.65	1.86	1.16	1.12
19:00	50	ისტ ფაიფი-სტენჰაუზმური	2.70	3.40	2.20	1.50	1.21	1.33
19:00	51	ისტ სტირლინგი-ქუინზ პარკი	3.50	3.40	1.80	1.72	1.18	1.17
19:00	52	მონტროუზი-კოუდენბითი	3.50	3.40	1.80	1.72	1.18	1.17
		იტალია. სერია B						
		11 ნოემბერი						
23:45	73	კრემონეზე-ატალანტა	3.70	2.90	2.00	1.62	1.29	1.18
		13 ნოემბერი						
18:00	74	ალბინოლეფე-ჩეზენა	2.55	2.80	2.70	1.33	1.31	1.37
18:00	75	აველინო-პესკარა	2.10	2.80	3.50	1.20	1.31	1.55
18:00	76	ბრეშა-პიაჩენცა	1.80	2.90	4.50	1.11	1.28	1.76
18:00	77	კატანძარო-ბარი	2.50	2.90	2.70	1.34	1.29	1.39
18:00	78	რიმინი-კატანია	2.35	2.80	3.00	1.27	1.31	1.44
18:00	79	ტერნანა-კროტონე	2.40	2.80	2.90	1.29	1.31	1.42
18:00	80	ტორინო-მოდენა	1.95	2.90	3.90	1.16	1.29	1.66
18:00	81	ტრიესტინა-არეცო	2.35	2.80	3.00	1.27	1.31	1.44
18:00	82	ვიჩენცა-ვერონა	2.40	2.80	2.90	1.29	1.31	1.42

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაიზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		14 ნოემბერი						
23:45	83	ბოლონია-მანტოვა	2.40	2.80	2.90	1.29	1.31	1.42
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		11 ნოემბერი						
23:00	114	აიაჩო-ლანსი	2.65	2.70	2.85	1.33	1.37	1.38
		ბელგია. I დივიზიონი						
		9 ნოემბერი						
23:30	126	ლოკერენი-ლიერსი	1.50	3.70	5.50	1.06	1.17	2.21
		ბელგია. II დივიზიონი						
		12 ნოემბერი						
18:00	127	ეუპენი-დაინცე	1.70	3.20	4.40	1.11	1.22	1.85
		13 ნოემბერი						
18:00	128	კორტრაიკი-ჰეუსდენი	1.65	3.30	4.50	1.10	1.20	1.90
		ჰოლანდია. II დივიზიონი						
		10 ნოემბერი						
23:00	129	მაასტრიხტი-ოსი	1.80	3.30	3.70	1.16	1.21	1.74
		სლოვაკეთი						
		9 ნოემბერი						
20:30	145	ბ.ბისტრიცა-რუუომბეროკი	2.20	3.10	2.90	1.28	1.25	1.49
20:30	146	ტრენჩინი-პეტრჟალკა	2.75	3.00	2.30	1.43	1.25	1.30
		არგენტინა						
		9 ნოემბერი						
23:10	181	რასინგი-არგენტინოს ხუნიორსი	2.35	3.10	2.65	1.33	1.24	1.42
23:45	182	რივერ პლეიტი-ლანუსი	1.45	3.60	6.30	1.03	1.17	2.29
23:45	183	კილმესი-სან ლორენსო	2.55	3.10	2.40	1.39	1.23	1.35
23:45	184	ტრო ფედერალ-ინდეპენდიენტე	2.25	3.10	2.85	1.30	1.25	1.48
		მჩ. შესარჩევი მატჩები (პლეი ოფი)						
		12 ნოემბერი						
22:30	209	ნორვეგია-ჩეხეთი	2.90	2.90	2.45	1.45	1.32	1.32
23:45	210	შვეიცარია-თურქეთი	2.30	2.90	3.20	1.28	1.33	1.52
23:45	211	ესპანეთი-სლოვაკეთი	1.30	4.30	10.00	1.00	1.15	3.00
23:45	212	ტრინიდადი-ბაჰრეინი	1.70	3.20	5.00	1.11	1.26	1.95
23:45	213	ურუგვაი-ავსტრალია	1.50	3.70	6.00	1.06	1.20	2.28
		ამხანაგური მატჩები						
		9 ნოემბერი						
23:45	214	საფრანგეთი-კოსტა რიკა	1.30	4.50	9.00	1.00	1.13	3.00
		12 ნოემბერი						
15:00	216	სამხრეთ კორეა-შვედეთი	2.45	3.10	2.50	1.36	1.23	1.38
16:30	217	ფინეთი-ესტონეთი	1.55	3.40	5.50	1.06	1.20	2.10
20:00	219	შოტლანდია-აშშ	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
20:45	220	ინგლისი-არგენტინა	2.80	3.10	2.30	1.47	1.26	1.32
21:30	221	საამიროები-ბრაზილია	9.50	4.80	1.25	3.18	1.10	1.00
23:45	222	ჰოლანდია-იტალია	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
23:45	223	საფრანგეთი-გერმანია	1.85	3.10	4.00	1.15	1.26	1.74
23:45	224	პორტუგალია-ხორვატია	1.65	3.20	5.00	1.08	1.24	1.95
		ეჩ. შესარჩევი მატჩები(21) (პლეი ოფი)						
		11 ნოემბერი						
22:45	227	ჩეხეთი(21)-გერმანია(21)	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
23:30	228	ინგლისი(21)-საფრანგეთი(21)	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
23:30	229	უნგრეთი(21)-იტალია(21)	4.00	3.40	1.75	1.83	1.21	1.15
		12 ნოემბერი						
20:00	230	რუსეთი(21)-დანია(21)	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
20:00	231	უკრაინა(21)-ბელგია(21)	1.80	3.40	4.00	[illegible]	[illegible]	[illegible]
23:00	232	სერბია(21)-ხორვატია(21)	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67
		13 ნოემბერი						
17:30	233	შვეიცარია(21)-პორტუგალია(21)	2.90	3.10	2.25	1.49	1.26	1.30
21:45	234	სლოვენია(21)-ჰოლანდია(21)	4.60	3.30	1.70	1.92	1.24	1.12
		შოტლანდია						
		თასი						
		9 ნოემბერი						
23:45	235	სელტიკი-რეინჯერსი	1.90	3.30	3.40	1.20	1.21	1.67
		ესპანეთი. თასი						
		9 ნოემბერი						
23:45	240	ბახა-სელტა	6.50	3.80	1.40	2.39	1.15	1.02
23:45	241	ბურგოსი-კადისი	4.50	3.10	1.70	1.83	1.23	1.09
23:45	242	ჰოსპიტალეტე-ბილბაო	6.00	3.70	1.45	2.28	1.16	1.04
23:30	243	ლეიდა-ხეტაფე	4.50	3.10	1.70	1.83	1.23	1.09
23:45	245	ზამორა-ეიბარი	2.70	3.00	2.40	1.42	1.27	1.33
		საბერძნეთი. თასი						
		9 ნოემბერი						
16:30	253	პანთრაიკოსი-აკრატიტოსი	3.40	3.00	2.05	1.59	1.27	1.21
17:30	254	ეთნიკოსი პირ-კალითეა	5.50	3.30	1.55	2.06	1.20	1.05
21:00	256	ერგოტელისი-პანათინაიკოსი	9.50	4.40	1.25	3.00	1.10	1.00
21:00	257	ეთნიკოსი ასტ-ლევადეიაკოსი	2.80	3.00	2.35	1.44	1.27	1.31
16:30	488	ასტერასი ტრ-კალამარია	3.00	2.90	2.30	1.47	1.30	1.28
		10 ნოემბერი						
18:00	255	პანაჰაიკი-ირაკლისი	4.50	3.30	1.65	1.90	1.20	1.10
21:00	258	პანილიაკოსი-ოლიმპიაკოსი	15.00	7.00	1.10	4.77	1.02	1.00
21:00	487	ტრასივულოსი-ატრომიტოსი	3.70	3.10	1.90	1.68	1.25	1.17
		რუსეთი. თასი						
		9 ნოემბერი						
18:00	259	ტორპედო-გაზპრომი	1.15	6.00	12.00	1.00	1.04	4.00
		პოლონეთი. თასი						
		9 ნოემბერი						
16:00	353	კუიავიაკი-პოზონი	2.85	3.20	2.15	1.50	1.22	1.28
21:00	354	ამიკა-ოდრა	1.55	3.50	5.00	1.07	1.18	2.05
21:00	355	ლეხი-რადომსკო	1.30	4.20	8.00	1.00	1.11	2.75
23:15	356	გროცლინი-კორონა	1.75	3.20	4.00	1.13	1.21	1.77
		11 ნოემბერი						
16:00	357	ჰეტმანი-ლეგია	7.50	4.30	1.30	2.73	1.10	1.00
		უნგრეთის თასი						
		9 ნოემბერი						
21:00	489	დებრეცენი-ტატაბანია	1.35	4.20	6.50	1.02	1.11	2.55
		კალათბურთი						
		ევროლიგა						
		9 ნოემბერი						
22:45	476	პანათინაიკოსი-ცსკა	1.50	12.00	2.20	1.33	1.00	1.85
		კრივი						
		12 ნოემბერი						
23:00	501	ს.სამი-ო.მასკაევი	1.30	15.00	3.00			

ქართული კალათბურთი ქართულ ფეხბურთს დაემსგავსა

ბესიკ ლიპარტელიანი ახალ საპრეზიდენტო ციკლს საკადრო პოლიტიკით დაიწყებს

ორშაბათს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის მსურველთა რეგისტრაცია ისე დასრულდა, რომ ბესიკ ლიპარტელიანს კონკურენტი არ გამოსჩენია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფედერაციის მოქმედი პრეზიდენტი, რეალურად კი დროებით უფლებამოსილებაშეკვეცილი ლიპარტელიანი ამავე პოსტზე არჩევის ერთადერთი კანდიდატია.

ასე და ამგვარად, არჩევნებს აზრი დაეკარგა, მაგრამ რა ქნას ბატონმა ბესიკმა, თუ პრეზიდენტობის მოცილე არ გამოუჩნდა?! ვერაფერს იზამს, 16 ნოემბერს მას 4 წლის ვადით ხელახლა დაამტკიცებენ ქართული კალათბურთის წინამძღოლად. მიუხედავად ამისა, ლიპარტელიანი ამბობს, რომ ისეთივე აქტიური იქნება არჩევნების დღეებში, როგორც იმ შემთხვევაში, კონკურენტი რომ ჰყოლოდა...

ბესიკ ლიპარტელიანი ფოტოში

— მე შედგენილი მაქვს საარჩევნო პროგრამა. დაწვრილებით შევისწავლე ის საკითხები და სფეროები, რაზეც პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში გავაკეთებ აქცენტს

— გვითხრა გუშინ ბესიკ ლიპარტელიანმა

— მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებში ჩემი კანდიდატურა უალტერნატივოა, ყველა წესი და ფორმა ზედმიწევნით იქნება დაცული.

— საარჩევნო პროგრამის ცალკე პრეზენტაციას არ აპირებთ?

— ვფიქრობ, არაა მიზანშეწონილი, რომ ამას ცალკე ღონისძიება მივუძღვნა. საარჩევნო პროგრამას 16 ნოემბრის ყრილობაზე წარვადგენ, სადაც ასევე განვლილი 4 წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოს დეტალურ ანგარიშს ჩავაბარებ დელეგატებსა და ჟურნალისტებს. სააქტო დარბაზის კარი, სადაც არჩევნები ჩატარდება, ყველასთვის ღია იქნება და დაინტერესებულ პირებს ყველა კითხვაზე გავცემ პასუხს.

— თუ საიდუმლო არ არის, ახლა გვითხარით იმ პრიორიტეტული სფეროების შესახებ, რომლებსაც მომავალი 4 წლის განმავლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევთ.

— მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქვეყნისთვის ბავშვთა კალათბურთი უმნიშვნელოვანესი, სასიცოცხლო სფეროა, სანაკრებო საკითხს ჩვენ გვერდს ვერ ავუქცევთ. ერნოვნულ გუნდს და ბავშვთა კალათბურთს მთავარი ყურადღება მიექცევა და, რა თქმა უნდა, შიდაჩემპიონატის დახვეწა-გაუმჯობესებაზეც ვიზრუნებთ.

— პირველი, რასაც პრეზიდენტად ხელმეორედ არჩევის შემდეგ გააკეთებთ, რა იქნება?

— მოგეხსენებათ, ფედერაციის ყველა თანამშრომელი ახლა კადრების განკარგულებაშია. პირველ რიგში ახალი კონტინგენტის მოზიდვასა და კომიტეტების დაკომპლექტებაზე ვიმუშავებ. მართალია, კვლავ მე ვიქნები პრეზიდენტი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ფედერაციაში ცვლილებები არ მოხდება. არის სამსახურები, სადაც საკადრო პოლიტიკის გატარებაა საჭირო. ამასთანავე, ფედერაციაში უნდა მოვიდეს ახალი, ენერგიითა და იდეებით სავსე ხალხი.

— ამას წინათ თქვით, რომ თუ პრეზიდენტად დავრჩი, ნაკრების მწვრთნელის დარჩენა-არდარჩენის საკითხს გავარკვევო...

— გორდონ ჰერბერტთან მოლაპარაკება ახლაც მიმდინარეობს და როგორც ბოლო საუბრიდან გამოჩნდა, მისი პოსტზე დარჩენა სავსებით რეალურია. დაახლოებით ორ კვირაში ზუსტად გვეცოდინება, დატოვებს თუ არა ჰერბერტი ნაკრების მწვრთნელის პოსტს. ვფიქრობ, არ უნდა დატოვოს. ვნახოთ...

— როგორ იქნება შემონდ უილიამსის საკითხი?

— როგორც იცით, უილიამსი ნაკრებს ფინეთთან მატჩამდე 3 დღით ადრე შეუერთდა, მაგრამ ეს მისი მიზეზით არ მომხდარა. შემონდმა „ბარსელონასთან“ სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და ესპანურმა კლუბმა ის უფრო ადრე არ გაათავისუფლა. ჩვენსა და უილიამსს შორის არ არსებობს პრობლემა. თავად მას აქვს კლუბთან ურთიერთობა მოსაგვარებელი ნაკრებში დროულად გამოშვებასთან დაკავშირებით. თუ ეს საკითხი მოგვარა, ჩვენ მასთან ურთიერთობას გავაგრძელებთ. არადა, არაა გამორიცხული, საქართველოს ნაკრებს ახალი ნატურალიზებული მოთამაშე შეემატოს. რაც მთავარია, ამისი ნება გააჩნია ქვეყნის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს და თუ საჭირო გახდა, ახალი უცხოელის ჩამოყვანასაც მოვახერხებთ. ჩვენ ისეთი მოთამაშე გვჭირდება, რომელსაც თამაშამდე მინიმუმ 20 დღით ადრე ჩამოვიყვანთ...

მაშ ასე, 16 ნოემბერს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანს პოსტზე ხელმეორედ აირჩევენ, უფრო სწორად, გადაირჩევენ.

სხვათა შორის, როცა ოქტომბრის ბოლოს საპრეზიდენტო კანდიდატად დარეგისტრირდა, ბესიკ ლიპარტელიანმა ასეთი ვარაუდი გამოთქვა: არჩევნებში მოწინააღმდეგე თუ არ გამომჩნდა, ეს არ იქნება პრობლემა, ნოდარ ახალკაციც ხომ უალტერნატივო იყო ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებშიო...

ირაკლი პერტაია

NBA რეგულარული ჩემპიონატი



AFP ჩიკაგოდან

სანანტონიოელი ტიმ დანკანი ჩიკაგოელ ტაისონ ჩანდლერს გაურბის

თავნება ფარცქვალა

7 ნოემბერი

მინესოტა 93:78 კლიპერსი

მინესოტა: იარიჩი (8), ჰასელი (9), შჩერბიაკი (15), გარნეტი (22 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი), ოლოვოკანდი (10); კარტერი (11), ჰადსონი (9), მაკკანტსი (6), გრიფინი (3), მადსენი, ფრამი

ცქიტიშვილი სათადარიგო იყო

კლიპერსი: კასელი (11), მობლი (12), როსი (6), ბრენდი (26), კამანი (5); ვილკოქსი (6), რებრაჩა (6), იუინგი (4), სინგლტონი

ჩიკაგო 95:104 სან ანტონიო

ძირითადი დრო 91:91

ჩიკაგო: დენგი (19), გორდონი (14)

სან ანტონიო: დანკანი (24 ქულა, 16 მოხსნა, 6 დაფარება), პარკერი (22), ჯინობილი (14 ქულა, 13 მოხსნა)

მაიამი 90:89 ნიუ ჯერსი

მაიამი: ვეიდი (23), უოლკერი (18)

ნიუ ჯერსი: კარტერი (32), ჯეფერსონი (20 ქულა, 15 მოხსნა)

შარლოტი 91:95 იუტა

ძირითადი დრო 89:89

შარლოტი: ბრეჟეი (13), მეი (13)

იუტა: ოქური (31), კირილენკო (20 ქულა, 8 მოხსნა, 7 დაფარება, 5 პასი)

ტორონტო: 93:105 კლივლენდი

ტორონტო: ბოში (26 ქულა, 12 მოხსნა), მ. ჯეიმსი (17)

კლივლენდი: ლ. ჯეიმსი (27), ჰიუზი (16)

ნიკა ცქიტიშვილი ამ ზაფხულს ახალ გუნდში კი გადაბარგდა, მაგრამ მისი საკალათბურთო ცხოვრების მდინარე ძველებურად დუნედ მიედინება. „მინესოტამ“ აგერ მეოთხე შეხვედრა მოილია და ამ გუნდის 12 წევრს შორის ცქიტიშვილი ერთადერთია, ვისაც წუთიც კი არ გაუტარებია მოედანზე.

მინესოტელმა „მგლებმა“ კი ამ ოთხ შეხვედრაში მეორე მოიგეს და შაბათს ლოს ანჯელესში „კლიპერსთან“ მარცხისთვის სრულფასოვანი რევანში აიღეს. შაბათსაც შეეძლოთ მეტოქის დამარცხება, მაგრამ ოვერტაიმში კევინ გარნეტმა ბოლო წამებზე ააცილა. გარნეტსა და კომპანიას ამჯერად საქმე დამატებით დრომდე აღარ მოუყვანიათ — მესამე მეოთხედის შემდეგ 8 ქულით დაწინაურდნენ და აღარც მერე დაისვეს მეტოქე თავზე.

პირველ რიგში ჩვენ შევძელით სემ კასელის გაჩერება და ამან გვიშველაო — იტყვის ნამატჩევს „მგლების“ ახალი მეთაური დუეინ კეისი.

გეხსომებათ, კასელი აქამდე სწორედ „მინესოტას“ მტრების მტერი იყო და ორიოდ თვის წინ გაღავიოა „კლიპერსში“. ამიტომაც განაგრძო თავისი ბრალეული ბატონობა პირველ სამ მატჩში საშუალოდ 19 ქულას და 7 პასს აშველებდა თავისიანებს და ამ სამივეს მოგებაში ლიდერის წილიც ედო. მისდა სამწახუროდ, მოგებების ჯაჭვი სწორედ მისმა ყოფილმა გუნდმა გაწყვიტა. ნამატჩევს კასელი თავმდაბლობდა — მე რას მეხვევით გარს, საუკეთესო კევინ გარნეტია და კომენტარიც მას ჩამოართვეთო.

„მინესოტამ“ იოლად გააჩერა აქამდე წაუგებლად მავალი „კლიპერსი“.

გაცილებით საინტერესო გამოდგა „სან ანტონიოს“ სტუმრობა თავის დროზე დიდი გამარჯვებების და სიხარულის დამტევ „იუსაიტედ სენთერში“. ძველ დიდებამდე და დიდებულებამდე ბევრი უკლია თანამედროვე „ჩიკაგო ბულზს“, თუმც ადარც ისეთი ხელწამოსაკრავია, ჯორდანის წასვლიდან ბარე 5-6 წელი რომ იყო. „ხარებმა“ რომ ხელის შებრუნება იციან, ჰა, „სან ანტონიოსთანაც“ გამოჩნდა. ჩემპიონი „სფურზი“ წყლიდან მთლად მშრალი ვერ ამოვიდა — მეტოქისაგან რეტბის მოსატეხად ოვერტაიმი დასჭირდა.

საღამოს გმირი გახდა ჩემპიონთა ფრანგი გამთამაშებელი ტონი პარკერი, ვინც თავისი 22 ქულიდან 8 დამატებით ხუთწუთიანში გაჩარხა, ანუ მთლიანად მეტოქეზე ორჯერ მეტი. ისე კი, დიდი შანსი იყო, „სან ანტონიოს“ მწვრთნელ გრეგ პოპოვიჩს საერთოდ სკამზე დაესვა ეს ფარცქვალა ბიჭუკი — ოვერტაიმში, 93:93 ანგარიშზე, პარკერმა ერთგვარი ურჩობა გამოიჩინა, როცა პოპოვიჩს წუთშესვენება არ ააღებინა და „თვითნებურად“ წამოიწყო მორიგი შეტევა „პოპმაც“ აპატია, რადგან პარკერმა ის ბურთიც ჩააგდო და დარჩენილ დროში ჯიდევ 4 ქულაც მიაყოლა.

„პოპი“ ყოველთვის ამას ჩაჩიჩინებდა, რომ თავად მოგესურვება ფარზე შეტევა, შეუტიე, არ იყოყმანოო და მეც შევუტიეო, ნამატჩევს ასეთ კომენტარს აკეთებდა პარკერი.

სადაც პარკერისას ვამბობთ, იქ არც ტიმ დანკანი უნდა დავივიწყოთ, ვინც საორმაგდუბლე ოდენობით ნახევჭ ქულა-მოხსნებს 6 დაფარებაც მოაყოლა და საკარიერო ძასშტაბით 1 500-იან ნიშნულს ასცდა.

მეტოქის მოსატეხად ოვერტაიმი დასჭირდა „იუტა ჯაზზაც“, რომელიც გვარიანად მოყოჩაღებულ და მანამდე სამიდან ორი თამაშის მომგებ „შარლოტ ბობქეთსს“ სტუმრობდა. დანკანისა არ იყოს, იუტელმა ანდრეი კირილენკომაც ბენეფისი მოიწყო — უფარა და უფარა შარლოტელებს, რომლებიც გაოგნებულები შესცქეროდნენ ჭერს, ეს რა ფასკუნჯი შემოფრინდა და თავს დაგვაცხრაო.

რუსის მხარდამხარ ილაღა „იუტას“ კიდევ ერთმა ოკეანსაქეთა ლიდერმა — თურქმა მეჰმეთ ოქურმა. 31 ქულა ძისი საკარიერო რეკორდია, აქედან 7 კი მან ოვერტაიმში გააკეთა.

უოვერტაიმო გამოვიდა, მაგრამ დამბეჭლობა კი ნამდვილად არ მოჰკლებია „მაიამი“ — „ნიუ ჯერსის“ ჯახს. მაიამელებს, აგერ მეორე მატჩია, გოლიათი შაკილ ონილი აკლიათ და „ნეთსთან“ უმისობა გვარიანადაც ეტყობოდათ, თუმც ცხვირი და ხელები დაბლა არ დაუშვეს და დუეინ ვეიდის მეთაურობით თავინთი საქმე გულშემატკივართა მოსაწონად აკეთეს. ვეიდმა მატჩის დამთავრებამდე 5 წამით ადრე 89:89 ანგარიშზე საჯარიმო ჩააგდო, ზედ საფინალო სირენის წინ კი ვინს კარტერს დაუჭირა კარტერი და მისი გუნდის მწვრთნელი ლოურენს ფრენკი მსაჯობას კარგა ხანს ედავებოდნენ, ჯარიმა იყოო, მაგრამ ამაოდ, გამარჯვება „მაიამის“ გაუფორმდა.

კოტე ყორღია

თუ მუხლმა გაუშვა...

ვანო გრიქუროვის ერთი არჩევანი

დღეს ყატარის დედაქალაქ დოჰაში ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება და კვირაზე მეტს გასტანს. საქართველოს სახელით მხოლოდ არსენ კასაბიევი გამოვა 94 კილოგრამ წონით კატეგორიაში. ჩვენი ნაკრები ყატარში გუშინ საღამოს გაფრინდა სამკაციანი შემადგენლობით. კასაბიევის გარდა მსოფლიოზე მწვრთნელმა ვანო გრიქუროვმა გიორგი ასანიძეც წაიყვანა. ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი დიდ სპორტში დაბრუნებას მომავალი წლიდან, ამჯერად კი პოტენციურ მეტოქეებს დააკვირდება. გამგზავრებამდე რამდენიმე საათით ადრე ვანო გრიქუროვმა ვაკის ძალოსნობის დარბაზში ბოლო ვარჯიში ჩაატარა, ნავარჯიშევს კი ინტერვიუ ჩამოვართვით



ფოტო: ლელა ბაბალიძე

არსენ კასაბიევი

— მსოფლიოს ჩემპიონატზე მხოლოდ ერთი სპორტსმენის წაყვანა ფინანსური პრობლემიდან გამომდინარეობს?

— არავითარ შემთხვევაში. ფულს სხვა ძალოსნებისთვისაც ვიშოვიდით. უბრალოდ, ეს ჩვენი ტაქტიკური ჩანაფიქრია. მოგეხსენებათ, ნაკრები ძალიან ახალგაზრდა ბიჭებითაა დაკომპლექტებული. ამიტომ მათთვის ამხელა არენაზე გასვლა ჯერ ცოტა ნაადრევია. წლეულს მათთვის მთავარი ახალგაზრდულ ტურნირებში თავის გამოჩენა იყო.

— მათი წლევანდელი შედეგებით კმაყოფილი ხართ?

— უკმაყოფილების საბაბი ნამდვილად არ მაქვს. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ჯამში 6 ოქროსა და 3 ვერცხლის მედალი მოიპოვეს. ახლახან ევროპირველობაზე გუნდური მესამე ადგილიც კი ავიღეთ, რაც მანამდე წარმოუდგენელი იყო. 2005 წლის სეზონში მთავარი აქცენტი ახალგაზრდულ ნაკრებზე გადავიტანეთ და გეგმაც ბოლომდე შევასრულეთ.

— ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატიდან ახალდაბრუნებულმა თქვით, რომ დიდების მსოფლიოზე სამი ძალოსნის წაყვანას ფიქრობდით...

— თავიდან მართლაც ასე გვქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ მერე ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონეთ და არჩევანი მხოლოდ კასაბიევზე შევაჩერეთ. სიმართლე გითხრათ, არსენის წაყვანაზეც ბევრი ვიფიქრეთ [illegible] რამდენად სწორად ვიქცევით. ისიც და ნაკრების [illegible] ძალიან ახალგაზრდები არიან. [illegible] მე სეზონი ჰქონდათ, ბოლო დიდ ტურნირზე სულ რაღაც ერთი თვის წინ გამოვიდნენ და სერიოზულად გადაღლილები არიან. ყატარული მსოფლიოს ჩემპიონატი ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის 100 წლისთავს ეძღვნება და მასზე ვინმე აუცილებლად უნდა გვყოლოდა. კასაბიევის დაყენების ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა.

— გადაღლის მიუხედავად, შეუძლია კასაბიევს მედლისთვის ბრძოლა?

— საამისოდ საკმაოდ კარგადაა მომზადებული. ფიზიკურადაც მშვენივრადაა და არც ფსიქოლოგიურად უნდა გაუჭირდეს. ერთადერთი, მუხლის ტრავმა მაშინებს, რომელმაც ახლახან შეახსენა თავი. ძალიან მეშინია, არ გაურთულდეს.

— დოჰაში გიორგი ასანიძეც მოდის...

— მისი წამოსვლა ძალიან მინდოდა. საქმიანობამ ბოლოხანს საკვარჯიშო ციკლი აურია და მინდა, სატურნირო სულისკვეთება ისევ გაულვივდეს. არც მალავს, რომ დაბრუნების სურვილი აქვს. ახლა მხოლოდ მაყურებლად მოდის, პოტენციური მეტოქეების გამოსვლას კარგად ეაკვირდება, თავად კი დიდ ფიცარნაგზე მომავალი წლიდან გავა. 2006 წლის სეზონში უკვე აქცენტს დიდების ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე გავაკეთებთ.

ოთარ მაღლაკელიძე

ალბერტ კუზილოვი:

ჩემს ნაკრებში გამოსვლა მინდა

ორი კვირაა, ვაკის ძალოსნობის დარბაზში საქართველოს ნაკრების წევრებისა და კანდიდატების გვერდით ცხინვალელი ალბერტ კუზილოვი ვარჯიშობს. ეს 20 წლის ბიჭი წლეულს ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე რუსეთის ნაკრების სახელით გამოვიდა და კვარცხლბეკსაც უწია. თქმა არ უნდა, პერსპექტიული ძალოსანია და საქართველოს ნაკრებში გადმოსვლის სურვილიც რომ გაუჩნდა, განსაკუთრებით სასიხარულოა. რომ შეიტყო, მასთან გასაუბრება გვინდოდა, ჯერ მწვრთნელს დაეკითხა, შემდეგ კი თავის ოთახში მიგვიპატიჟა. ცნობისთვის, კუზილოვი ვაკის დარბაზის საცხოვრებელში ცხოვრობს



ფოტო: ლელა ბაბალიძე

ალბერტ კუზილოვი

— თბილისში ჩამოსვლა და აქ ვარჯიში პირველად კასაბიევმა შემომთავაზა, ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შემდეგ. სიმართლე გითხრათ, არ ველოდი. ძალიან კი მესიამოვნა, თუმც პასუხი მაშინვე მაინც არ მითქვამს.

— რამდენ ხანს იფიქრე?

— მალევე მივიღე საბოლოო გადაწყვეტილება. ჩემს ცხინვალელი მწვრთნელსაც ვაცნობე საქმის ვითარება და მისგანაც დადებითი პასუხი მივიღე. მითხრა, როგორც შენი უკეთესი მომავლისთვის აჯობებს, ისე უნდა მოიქცეო.

— ოჯახის წევრებიც ადვილად დაგთანხმდნენ?

— რა თქმა უნდა. მამაჩემიც მწვრთნელია და გაუხარდა, ისეთ სპეციალისტთან რომ მოვდიოდი, როგორიც ვანო გრიქუროვია.

— წლეულს რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში გამოხვედი. ცხადია, ძირითადი გუნდის კანდიდატიც ხარ. რატომ გადაწყვიტე წამოსვლა?

— პირველ რიგში იმიტომ, რომ თუ კარგად ვივარჯიშებ, აქ პერსპექტივა მეტი თუ არა, ნაკლები ნამდვილად არ მექნება. მეორე და მთავარი, ჩემს ნაკრებში გამოსვლა ძალიან მინდა.

— შენი აზრით, როდის შეძლებ საქართველოს სახელით საერთაშორისო არენაზე გასვლას?

— ამაზე ჯერ არც კი ვფიქრობ. ჩემი მთავარი საფიქრალი ახლა ბევრი ვარჯიშია. დანარჩენი თავისით მოვა.

— რუსეთის ნაკრების ხელმძღვანელების რეაქცია როგორი იყო, თქვენი გადაწყვეტილება რომ შეიტყვეს?

— ვერ გეტყვით. მგონი, ჯერ არც გაუგიათ. ალბათ ასე ადვილად არ შემელევიან. იქნებ ჩემი დისკვალიფიკაციაც მოითხოვონ. ამისთვისაც მზად ვარ. ჯერ 20 წლის ვარ და გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება, ერთი წლით გვიან გავალ საერთაშორისო არენაზე თუ ადრე. მთავარია, მანამდე ბევრი ვიმუშაო და ძლიერ სპორტსმენად ჩამოვყალიბდე.

— 94 კილოგრამ წონით კატეგორიაში უძლიერესი კონკურენტი დაგიხვდათ კასაბიევის სახით. სამომავლოდ წონის შეცვლაზეც ხომ არ ფიქრობთ?

— კონკურენცია ძალიან კარგია. მეტად მობილიზებული და მიზანსწრაფული გავხდები. რაც შეეხება წონის შეცვლას, არ გამოვრიცხავ, რადგან ამაში ფიზიკური მონაცემებიც შემიწყობს ხელს. საკმაოდ მაღალი ვარ.

— ერთი შეხედვითაც გასაგებია, აქაური სავარჯიშო პირობებით კმაყოფილი ხარ. საცხოვრებელზე რას იტყვი?

— ყველაფერი ნორმალურადაა. თავს მშვენივრად ვგრძნობ. ბიჭებსაც დავუახლოვდი. მოკლედ, ყველა პირობა მაქვს ჩემი ძალების სარეალიზაციოდ.

ოთარ მაღლაკელიძე

კემ ნილი, მიურეი კოსტელო და ალექსანდრ ხარლამოვი

ᲰᲝᲙᲔᲘᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲨᲔᲘᲕᲡᲝ

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვის ცსკა-სა და საბჭოთა კავშირის ლეგენდარული თავდამსხმელი ჰოკეისტი ვალერი ხარლამოვი ოფიციალურად მიიღეს ტორონტოს ჰოკეის დიდების დარბაზში.

ეს ცერემონია ჰოკეისტის ავტოკატასტროფაში დაღუპვიდან 24 წლის შემდეგ გაიმართა.

გუშინ ვალერი ხარლამოვთან ერთად ჰოკეის დიდების დარბაზის წევრები გახდა „ვანკუვერისა“ და „ბოსტონის“ ყოფილი ფორვარდი კემ ნილი, აგრეთვე კანადის ჰოკეის ფუნქციონერი მირუეი კოსტელო.

ამ ცერემონიას ესწრებოდა ხარლამოვის შვილი ალექსანდრე, რომელიც „ვაშინგტონმა“ 1994 წლის დრაფტში პირველ ნომრად აიყვანა, შემდეგ კი, ამერიკის დედაქალაქის კლუბში რამდენიმე მატჩი ჩაატარა, თუმცა მხოლოდ საჩვენებელ გამოსვლებში.

ტორონტოში გამართულ საზეიმო ცერემონიაში ალექსანდრს გადასცეს შესაბამისი მოწმობა, აგრეთვე სპეციალური პიჯაკი და ბეჭედი.

„ძალიან მსიამოვნებს, როცა ვხედავ, თუ რამდენად ბევრ გულშემატკივარს ახსოვს მამაჩემი, — ამბობს უმცროსი ხარლამოვი. — მე ძალზე ვამაყობ მამაჩემით და იმ წვლილით, რომელიც მან შეიტანა მსოფლიოს ჰოკეის განვითარებაში.

საინტერესოა, რომ როცა უმცროსი ხარლამოვი მოხვდა „კეპიტალზში“, №17, რომლითაც მამამისი თამაშობდა და მერე კი თავადაც ამ ნომრიანი ფორმით გამოდიოდა, დაკავებული დახვდა. ის ნომერი მაშინ ეკუთვნოდა მისსავე თანამემამულე სერგეი გონჩარს. რუსი მცველი არც დაფიქრებულა, ისე დაუთმო უმცროსს ხარლამოვს ნომერი, თავისთვის კი 55 აიღო, რითაც დღემდე თამაშობს.

ამგვარად, ვალერი ხარლამოვი გახდა მეოთხე საბჭოთა მოთამაშე, რომელიც დიდიების დარბაზის წევრად მიიღეს. მასთან ერთად ასეთი პატივი მანამდე ერგოთ მის პარტნიორებს: ლეგენდარულ მეკარე ვლადისლავ ტრეტიაკს, ვიაჩესლავ ფეტისოვსა და სახელგანთქმულ მწვრთნელ ანატოლი ტარასოვს.

ვალერი ხარლამოვი მსოფლიოს ჰოკეის ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელი იყო. იგი გახდა სსრკ კავშირის, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატების მრავალგზის ოქროს მედალოსანი, აგრეთვე, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.

ვალერი ხარლამოვი შაიბის ფლობის ფილიგრანულ ტექნიკას ფლობდა. დიდებულად დაქროდა ციგურებით და ბრწყინვალედ მანევრირებდა სარბიელზე. იგი საოცრად სწრაფი და მოხერხებული იყო. იგი იყო ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი ჰოკეისტი, სსრკ კავშირის ჩემპიონატებისა და ოლიმპიური თამაშების საუკეთესო ბომბარდირი.

ვალერი ხარლამოვი თავის ცსკა-ს თერთმეტჯერ დაეხმარა სსრკ კავშირის ჩემპიონობაში. ამ გუნდის შემადგენლობაში ხარლამოვმა 436 მატჩიდან 293 შაიბა გაიტანა და 214 გადაცემა გააკეთა.

1981 წლის 27 აგვისტოს 33 წლის ხარლამოვი მოსკოვთან ახლოს ავტოკატასტროფაში დაიღუპა — „ვოლგა“, რომელსაც თავისი ცოლი მართავდა სატვირთოს შეეჯახა...

ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲐᲓ ᲙᲚᲘᲩᲙᲝ?

WBC ვერსიით 12 ნოემბერს გასამართი სუპერმძიმე წონაში ვიტალი კლიჩკოსა და ჰასიმ რაჰმანს შორის ჩაშლილი ორთაბრძოლის თაობაზე დიდი ვნებათაღელვაა.

WBA-ს ვერსიით სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონმა ჯონ რუისმა უკრაინელ მოკრივეს კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხა.

„რას ნიშნავს რუსულად „კლიჩკო“? მშიშარას? ექიმმა მას ბრძოლის ნებართვა მისცა, მან კი შინ ჯდომა ამჯობინა. ის მაღალი, დიდი და ტანადია. სუპერმძიმე წონაში მართლაც ჭეშმარიტი მოკრივესავით გამოიყურება, მაგრამ იგი მშიშარაა და არა აქვს ნამდვილი ჩემპიონის სული“ — თქვა რუისმა.

რუისს სრულებითაც არ უკვირს კლიჩკოს მორიგი ტრავმა და ფიქრობს, რომ HBO და სხვა ორგანიზაციების, რომლებიც მას მხარს უჭერენ, უნდა რცხვენოდეთ „ამ ეგრეთ წოდებული ნამდვილი მსოფლიოს ჩემპიონისა“.

„და საერთოდ, ვინ დაამარცხა მან? მსოფლიოს ჩემპიონები ვალდებულნი არიან დაიცვან თავიანთი ტიტულები საუკეთესო მოწინააღმდეგეებთაც ბრძოლაში. WBC-მ მას უნდა ჩამოართვას ჩემპიონის ქამარი და რაჰმანს გადასცეს. კლიჩკომ რახმანს უნდა გადაუხადოს ამაო ვარჯისითვის დახარჯული თანხა. კლიჩკო აიძულეს, რომ შეხვედროდა რაჰმანს, მაგრამ მან მაინც უარი თქვა ამ ბრძოლაზე“ — აღშფოთებას ვერ მალავს რუისი.

ტიტულის დაცვის ვალდებულების თაობაზე რუისს მაგალითად თავის თავი მოჰყავს.

„მე ნახევარ დედამიწას გარს ვუვლი იმისთვის, რომ შევხვდე იმ გიგანტს, რომელიც ჩემზე ძალიან ფუტით მაღალია და 30 კილოგრამით მძიმე. მე დედამიწას ლაბის გარს ვუვლი, რომ ჩემს მოწინააღმდეგეს მისავე ტერიტორიაზე შევხვდე. და მე ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ ნამდვილი ჩემპიონი ვარ“, — თქვა რუისმა რუს ნიკოლაი ვალუევთან მომავალი ბრძოლის თაობაზე.

რუისმა ვიტალი კლიჩკო დაადანაშაულა იმაშიც, რომ მოწინააღმდეგეთა შერჩევის საქმეში მისი დამოკიდებულების გამო შეუძლებელი გახდა გაერთიანებული ტურნირის გამართვა სუპერმძიმე წონაში ჩემპიონთა შორის. იმ შემთხვევაში, თუ WBC-ს ტიტული ჰასიმ რაჰმანის ხელში გადავა, მაშინ ტურნირი გაისად გაიმართება და მთელი მსოფლიო დაინახავს, რომ ჯონ რუისი მსოფლიოში უძლიერესია.

ასეა თუ ისე, WBC-მ კლიჩკოს ერთი კვირა დაუთქვა, რათა მან საბოლოოდ წარმოადგინოს ექიმის ცნობა მისი ტრავმის ხარისხის თაობაზე. და თუ იგი სამი თვის განმავლობაში შეძლებს აბსოლუტურ გამოჯანმრთელებას, მაშინ მას ნებას დართავენ რინგზე დაიცვას თავისი ტიტული.

„ჩემპიონს არ უნდა ჩამოერთვას ტიტული ტრავმის გამო, — ამბობს WBC-ის პრეზიდენტი ხოსე სულეიმანი. — ყველა მხარისთვის სამართლიან გადაწყვეტილებას დროზე გამოვიტანთ. თქვენ ყველამ იცით, რომ WBC-ზე ზეწოლას ახდენენ, რათა კლიჩკოს ტიტული ჩამოართვან, მაგრამ ეს უნამუსობად მიიჩნია. მოკრივეს უნდა მივცეს საშუალება, რომ გაიაროს სამედიცინო შემოწმება თავისი ტრავმის გამოსაკვლევად“.

ვიტალი კლიჩკო და ჰასიმ რაჰმანი

ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲝᲚᲘ

6 ნოემბერი

ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲡᲘ 2:3 ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ

0:1 0:1 2:1

0:1 ლემიე 16), 0:2 კროსბი (39), 0:3 პალფი (44), 1:3 ჰოლვეგი (47), 2:3 ჰოსა (54)

ᲛᲐᲢᲩᲘ ისე როგორ ჩაივლის, სიდნი კროსბიმ თავი არ ისახელოს, მარიო ლემიე კი ქათინაურებს არ იშურებს. ამჯერად ვუნდერკინდმა პირველი გოლი გაიტანა სახელგანთქმულ „მედისონ სქვერ გარდენში“ და თამაშის პირველ ვარსკვლავადაც აღიარეს, რამაც უზომოდ გაახარა „სუპერმარიო“. „ყოველ მომდევო თამაშში ის უკეთ ირჯება. 18 წლის ბიჭი საუკეთესო მოთამაშე ხდება და ეს პირველი შემთხვევა არ არის“.

თავის მხრივ, კროსბიმ მოკრძალებულად თქვა:

„ეს ისტორიული ადგილია. სულ სხვანაირი ატმოსფეროა და ნამდვილად დიდი სიამოვნებაა აქ თამაში, მით უმეტეს, გოლის გატანა“.

ისე, ბოლო მატჩებში „პიტსბურგმა“ საგრძნობლად გამოასწორა მდგომარეობა და სეზონში პირველად ასცდა ბოლო ადგილს თავის კონფერენციაში.

ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲘ 4:3 ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ

1:0 0:2 3:1

1:0 კობასიუ (6), 1:1 ბერტუცი (24), 1:2 ნესლუნდი (39), 2:2 ჰამრლიკი (46), 3:2 იგინლა (47), 3:3 ნესლუნდი (52), ფანიოფი (58)

ᲬᲘᲜᲐ კვირის საუკეთესო დამცველი მოთამაშე, „კალგარის“ მეკარე მიკა კიპრუსოფი (მხოლოდ ერთი გაშვებული შაიბა სამ მატჩში) ნელნელა იბრუნებს ორი წლის წინანდელ ფორმას. მართალია, ამჯერად ფინელმა სამი შაიბა გაუშვა, მაგრამ არც ერთში მას არ მიუძღოდა ბრალი. სამაგიეროდ, ბოლო წუთებზე კიპრუსოფმა არაერთხელ იხსნა გუნდი.

აქვე მოგახსენებთ, რომ წინა კვირის საუკეთესო შემტევ ჰოკეისტად ოტაველი დანიელ ალფრედსონი (11 ქულა 3 თამაშში) აღიარებს.

ᲓᲐᲚᲐᲡᲘ 4:0 ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜᲘ

2:0 1:0 1:0

1:0 იოკინენი (13), 2:0 ლესარი (17), 3:0 რობიდა (35), 4:0 მოდანო (42)

ᲡᲐᲛᲒᲔᲚ ᲚᲐᲠᲘᲑᲘᲐᲜᲘ

მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი

ბეერ-შევა. ისრაელი. 31 ოქტომბერი - 11 ნოემბერი

VI ტური

უკრაინა	1,5:2,5	ჩინეთი (ვაჟები)
სომხეთი	1,5:2,5	რუსეთი
აშშ	4:0	ჩინეთი (ქალები)
საქართველო	3:1	კუბა
ზურაბ აზმაიფარაშვილი	1:0	ლაზარო ბრუზონი
ლენიერ დომინგესი	0,5:0,5	გიორგი გიორგაძე
მიხეილ მჭედლიშვილი	1:0	ნეურის დელგადო
იესუს ნოგუეირასი	0,5:0,5	მერაბ გაგუნაშვილი

ისრაელმა დაისვენა

თავში და ბოლოში დიდი ჩინეთია, საქართველომ კი კუბა შესანსლა





ზურაბ აზმაიფარაშვილმა ლაზარო ბრუზონს შანსი არ დაუტოვა

ქართველმა მოჭადრაკეებმა ჩემპიონატზე პირველი გამარჯვება მოიპოვეს.

მათ აუტსაიდერ კუბას 3:1 მოუგეს, ყულაბაში სამი ქულა ჩაიჩხრიალეს და კვლავ მეშვიდე ადგილზე დარჩნენ.

ჩვენი ნაკრებიდან იმარჯვეს ზურაბ აზმაიფარაშვილმა და მიხეილ მჭედლიშვილმა, ხოლო გიორგი გიორგაძემ და მერაბ გაგუნაშვილმა ყაიმით დაასრულეს შეხვედრა. აღსანიშნავია, რომ ორივე გამარჯვებული თეთრი ფიგურებით თამაშობდა.

აზმაფიარაშვილმა c4-ით დაიწყო პარტია. ბრუზონი აქტიურად ჩაერთო თამაშში, კუ საომრად გამოიყვანა და ქართველის რაზმს მცირე დარტყმა მიაყენა. მე-11 სვლაზე აზმაიფარაშვილმა როქი გააკეთა, მარცხენა ფლანგზე ფიგურები დაქოქა და იერიშებს შეუდგა. საპასუხო შეტევა კუბელმაც წამოიწყო, ლაზიერი მსუბუქ ფიგურებთან ერთად გამოუშვა და თეთრ ხელმწიფეზე მიმართა.

ქართველი მეფის დაცვამ იოლად მოიგერია მტერი, შავებს დამრტყმელი ძალები დაუხოცა და უკუაგდო. კუბელი ყაიმისთვის შეუდგა ბრძოლას, თუმც არაფერი გამოუვიდა და 43-ე სვლაზე ხელები აწია.

საინტერესო გამოდგა მჭედლიშვილისა და ნეურის დელგადოს შეხვედრა. აქაც თავიდან კუბელი გააქტიურდა, თუმც ქართელმა მალევე შეძლო მისი შეჩერება, სათამაშო უპირატესობა მოიპოვა და 58-ე სვლაზე ქულა აართვა.

ჩინეთის ვაჟთა ნაკრები განაგრძობს წარმატებულ თამაშს. მეექვსე ტურში აზიელებმა ოლიმპიური ჩემპიონი უკრაინა დაამარცხეს 2,5:1,5 და ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნეს.

ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა მე-6 ადგილიდან მესამეზე აინაცვლა. იანკთა გუნდმა აუტსაიდერ ჩინელ ქალთა ნაკრებს გრიგალივით გადაუარა 4:0 და მესამე ადგილზე გასვლის შანსი შეინარჩუნა.



ბრუზონმა თამაში 43-ე სვლაზე შეწყვიტა

ლაზა გეგეჭკორი

1. ჩინეთი (ვაჟები)	16ქულა
2. რუსეთი	15,5
3. აშშ	11,5
4. სომხეთი	11
5. უკრაინა	10,5
6.ისრაელი	10
7. საქართველო	9,5
8. კუბა	7
9. ჩინეთი (ქალები)	5



ტოგოელი სახალხო მკურნალი ჯოზეფი

შიმპანზეს ხელის მტევანი

ტოგოური ხაში
ბაზარი ლომეში

აფრიკის წარმომადგენლები უკვე მრავალი წელიწადია, რაც უმაღლეს მწვერვალებს იპყრობენ მძლეოსნობაში, განსაკუთრებით კი გრძელ დისტანციებზე რბენისას. იქაური ფეხბურთელები ბრწყინვალედ თამაშობენ ფეხბურთსაც სხვადასხვა ქვეყანათა საკლუბო თუ ეროვნულ გუნდებში. მაგრამ რითი აიხსნება შავკანიანთა ასეთი წარმატებები? ამას თავად აფრიკელთა ნაწილი ხსნის ხალხური მედიცინის მიღწევებით, ათასგვარი ჯადოქრობითა და მჩხიბაობით.

ასეთივე პასუხი შეიძლება ვიპოვოთ აფრიკის ერთ-ერთ პატარა ქვეყანა ტოგოს დედაქალაქ ლომეში, სადაც უჩვეულო ბაზარია მოწყობილი.

ამ ბაზარში იყიდება ინგრედიენტები, რომლებსაც ხმარობენ იქაური სახალხო მკურნალები.

აი, რა უამბო ერთ-ერთმა მკურნალმა, სახელად ჯოზეფმა როიტერის კორესპოდენტ მარკ დამეტს

„ეს ადგილი მთელი სამყაროს აფთიაქია. თუ ვინმეს ავადმყოფობა აწუხებს და ექიმებს მისი განკურნება არ ძალუძთ, მაშინ ისინი სწორედ ჩვენთან ჩამოდიან. აი, ნიანგის თავი. აქვეა კატის და უამრავი მაიმუნის თავებიც. არის ფრინველების, ქამელეონების, კობრებისა და მრავალი ქვეწარმავლის ფიტულები.

იმისთვის, რომ წამალი დამზადდეს, საჭიროა თავის ქალის დანაყვა და ფხვნილად გადაქცევა, შემდეგ კი მისი არევა ნაირგვარ ბალახებში. მერე საჭიროა ამ ნარევის დაწვა და შავი ფხვნილის მიღება, პაციენტის მკერდზე ან ზურგზე სამი ნაკაწრის გაკეთება და ამ შავი ფხვნილის მასში ჩაზელვა.

საქონელს ჩვენ მთელი აფრიკიდან ვღებულობთ, უპირველეს ყოვლისა დასავლეთ აფრიკიდან: განადან, ბურკინაფასოდან, ბენინიდან, კოტ დივუარიდან და ნიგერიიდან. ხელისუფლებამ მშვენივრად იცის, რითი ვსაქმიანობთ და რითი ვვაჭრობთ. ჩვენ თვითონ აქ ცხოველებს არ ვხოცავთ.

ჩვენ შეგვიძლია ნებისმიერის განკურნება, იმ ადამიანებისაც, რომლებსაც შვილების ყოლა უნდათ. მაგალითად, თქვენი ცოლი აგერ უკვე მეათე წელიწადია ბავშვის გასაჩენად ჯახირობს, მაგრამ არაფერი გამოსდის. სწორედ ასეთი შემთხვევისთვის ჩვენს ბაზარზე არის ასეთი საშუალებები მათ დასაფეხმძიმებლად.

ჩვენ სპორტსმენებსაც ვეხმარებით. აი, მაგალითად, შიმპანზეს ხელები. ჩვენ მას ვიყენებთ იმ საშუალების მოსამზადებლად, რომელიც ეხმარება ფეხბურთელთა მეკარეს.

ამისთვის ვიღებთ შიმპანზეს ან გორილის ხელისგულს და სხვადასხვა ბალახების დახმარებით ვღებულობთ ფხვნილს, რომლითაც შემდეგ შეკარეს გავპოხავთ. ამის მერე ის გაცილებით სწრაფად იწყებს მოძრაობას, ხოლო თუ თქვენ მარათონულ რბენაში გსურთ ძალის გამოცდა, მაშინ ჩვენ გამოვიყენებთ ცხენის თავის, გულისგან და ოთხივე ფეხის ნახარშისგან მიღებულ ნაყენს.

ჩვენ ცოდნასა და გამოცდილებას მამებისგან ვღებულობთ. მე ბოლო 7 წლის განმავლობაში ვსწავლობდი ამულეტებსა და მედიცინას, მაგრამ კიდევ წელიწადნახევარი მაქვს სასწავლი“, — თქვა ჯოზეფმა და იქვე დასძინა, ჩვენ აქ იმისთვის ვართ, რომ ყველას დავეხმაროთო.



ლომეს ბაზრის დახლი

ლომეში ნადირ-ფრინველთა თავის ქალების დიდი არჩევანია

სამზადისი

წვიმასა და ტალახში ინგლისის სარაგბო ნაკრები საშერკინებო მანქანას ეჭიდავება, მწვრთნელი პოლ რობინსონი კი ყურადღებით დასცქერის შეგირდებს. ინგლისელები სარის საგრაფოში, ბეგშოტში ემზადებიან, შაბათს კი ავსტრალიას უმასპინძლებენ.

AFP ბეგშოტიდან

AFP ფუნჩაროდან

ბრბის ბრალი

ცნობთ ამ ყოჩაღ მოხუცს? მისი უდიდებულესობა პოლ ნიუმენი, კინოვარსკვლავი და ავტორბოლების ტრფიალი. ბაბუა პოლიმ, რა თქმა უნდა, ვერ მოიგო მეხიკოში ჩატარებული, ჩუმმ ქარ რეისი. მისი გამარჯვებული ერმანოს როდრიგესი შეიქნა.

მშვილდოსნობა დელიში

დელიში დაწყებულა აზიის ქალთა მე-14 ჩემპიონატი მშვილდოსნობაში. ეს სანდომიანი გოგო სპარსი სამანდენ ადაბდოსტი გახლავთ, ეტყობა, ხელობა კარგად იცის და სიმშვიდითაც გაპოირჩევა.



AFP დელიდან

AFP ბანგკოკიდან

ხეთქება



AFP ჯაქსონვილიდან

ჯაქსონვილელი დერეკ ვიმბუში (36) გვარიანად დახეთქებულა ჰიუსტონელებთან თამაშის დროს. „ჯექსონვილს“ მატჩი 21-14 მოუგია, ხოლო ვინც ამერიკულ ბურთაობას იცნობს, იმან იცის, რომ ერთ-ერთი მთავარი საქმე მეტოქის გაჩერება, სხვანაირად კი დახეთქება გახლავს. ოღონდაც ზოგჯერ ეს მეტოქეს აწყობს, ზოგჯერ კი შენ.

ნანაკო ჩემპიონია

ნანაკო კიკუჩი იაპონელი მოკრივე გოგოა და საბჭოს (ვბკ) საჩემპიონო ქამარიც მოუგია ბანგკოკში, სადაც მასპინძელ სორსირიპორნი დაუმარცხებია ნოკაუტით.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ჯაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, ეკა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორელაშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: ვიო ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი ჰერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოვრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ფურცელი
http://www.sarbieli.com.ge